

საქართველოს
საბჭოთაო
საბჭოთაო

საბჭოთა

საბჭოთა
საბჭოთა



1916



საბჭოთა, № VIII.

საბჭოთა

საბავშვო

საბავშვო ჟურნალი
საბავშვო

საბავშვო ჟურნალი

№ 8.

1916 წ.

საბავშვო ჟურნალი
საბავშვო

166



მეგობრები

საბავშვო ჟურნალის
საბავშვო
თბილისი
საბავშვო



შინაარსი

I—მეგობრები,—სურათი კაულბახისა	1
II—გაზაფხული,—ლექსი ა. სახარუდაძისა	3
III—გიულის ნაამბობი,—ვ. თამარაშვილისა	5
IV—დორა,—პოემა აღფრედ ტენისონისა, თარგმანი იდ. ფერაძისა	14
V—გერია საბრალოს შვილის არაკი,—(სამეგრელოში ჩა- წერილი იოსებ ყიფშიძის მიერ	24
VI—მზეო, ფაქტებს რათა ხუკავ,—ლექსი დ. კლაოზა- შვილისა	31
VII—მამა როდის დაბრუნდება,—ლექსი დ. კლაოზაშვი- ლისა	32
VIII—ხარების ძმობა,—ჩ. რობერტისისა; თარგმანი იდაა ნა- კაშაძისა	34
IX—საკმელი მერცხლის ბუდეები,—შედგენილი კარ. ძო- ტუაშვილის შაურ	49
X—ჩვენი სამშობლოს წყლები:—მდინარე ტანა, ა. ხუ- ციაშვილისა	52
XI—გასართობი,—შარადები და რებუსის ახსნა	64



გაზაფხული

ცა დასცქერის დედამიწას
 გამკვირვალე, ლურჯ ტატნობით;
 მზე სხივს აფრქვევს სიცოცხლისას,
 გულმკერდს უთბობს ტკბილი გრძნობით:

მთის მწვერვალზე და ხევ-ხევში
 დარჩენილი თოვლი დნება;
 არემარე ძილ-დამფრთხალი
 იშმეუნება, იფურჩქნება;

სიო მთა-ბარს ნისლის საბანს
 ფრთხილად აძრობს, არ ჰგლეჯს, არ ჰხევს;
 დაფარფატობს, ნაზ ფურჩქნის, *
 ბალახს, ყვავილს ფურჩქნის, აოხრებს;

მთის ჩანჩქერი მოჰქუხს, თითქოს
 ქვებზე ამტვრევს ბროლის ჭიკებს;
 სირი ჩანგურს აწკრივლებს,
 მთებს, ველ-მინდვრებს დასტიკიკებს;

გაზაფხული ყვავილებში
 სურნელს აკმევს, ასხამს ნექტარს;



რომ დაგვატკბოს მათი ფშვინვით,
საზრდო მისცეს პეპლებს, ფუტკარს...

გაზაფხულდა... ბუნებაში
ჰფეთქს სიკოცხლე-სიხარული.
ნეტა როდის აყვავდება
ჩვენ გულშიაც გაზაფხული?

ა. სიხარულიძე





გიულის ნაამბობი



ემი ნამდვილი სახელი—გიორგია, მაგრამ მეტსახელად გიულს მეძახიან. წელს შემისრულდა მგონი 14 წელიწადი (კარგად არ ვიცი). გვარად მთიულიშვილი ვარ. ამბობენ, ჩვენი მამა-პაპა მთიულეები იყვნენო. დავიბადე კახეთის ერთ პატარა, მიყრუებულ სოფელში—ჩალიანში,—რომელიც ყვავის ბუდესავით ცივ-გომბორის ერთ მაღალ კალთას ქურდულად ამოჰფარებია. ჩალიანში სულ 30—40 კომლი თუ ესახლება. ყველანი ღარიბები არიან, გარდა ღვედლისა და მამასახლისისა. სახლები ჩალური აქვთ, შიგა და შიგ კრამიტის, წნული და პატივით ნალესი. ჩალიანელების ხელობა საქონლის მოშენება და ხენა-თესვაა.

თუმცა ჯერ 14 წლისა ვარ, მაგრამ ნახვით ბევრი ვნახე და მეტი ვიწვნიე: გაჭირვებაში დავიბადე და სიღარიბეში გავიზარდე. ობლობამ დამირწია აკვანი და უპატრონობა გზირივით თან ამყვა. და-ძმა სულ არა მყოლია. ძალიან ადრე დავობლდი: მამა სულ არ მახსოვს; დედის სიკვდილი ბუნდოდ მახსოვს. რომ დავფიქრდები, წარმომიდგება სევდით ნაბეჭდი მისი სახე: შავტანსაცმელში ჯერ ახალგაზრდა უფრო მონაზონს მოგაგონებდათ. გულს ჩამიკრავდა, თან სანუგეშო სიტყვებს ჩამფუჩუნებდა:

— ღმერთი გაგზრდის, დედის ნუგეშო, სოფელი შეგინახავს ობოლსაო. ისიც მახსოვს, მიყვარდა იმის ფეხთან ჩა-



ჯდომა და გძელი შავი თმების ხელზე დახვევა და რამდენიმე წელიწადი იყო ის წუთები. ნეტავი ვინმე მომგვრიდეს იმ წუთებს, თუნდ ერთი წამით დედაჩემს დამანახებდეს!

ერთ შემოდგომის საღამოს, როცა ჩამოპირქუშებული ცა ტიროდა და ქარი მწარედ ხმაურობდა, დედაჩემი მუშაობიდან დაბრუნდა (ღედლიანთ სარეცხს ურეცხავდა). სულ მთლად კანკალებდა. ლოგინად დაეცა და აღარც ამდგარა. ბევრი რამ მოსაგონი ამბები თვალთაგან მიმეფარა. ჩვენ ეზოში ხალხი შეიყარა. ორ ადგილას ცეცხლი ენთო. სახლში ვიწვედი, მაგრამ არ მიშვებდნენ. მერე სადღაც წაიყვანეს. მინდოდა თან გავყოლოდი, სულ მასთან ვყოფილიყავ. არც ეს დამცალდა. მეზობლიანთ მართამ თავისთან წამიყვანა:

— რა გატირებს, გიულ, ვაეკაცი არა ხარ? დედა შენი ექიმთან წაიყვანეს ურმით: მოარჩენენ და ისევ ნახავო.

სულელს მჯეროდა ეს ნაუბარი და ველოდი დედაჩემის დაბრუნებას. ახლაც ველი. როცა ჩემს უბედობას დაუფიქრდები და მწარე ფიქრი დამლღის, დამქანცავს და გამამწარებს, — იმედ-გადაწყვეტილი დასალუპად გამზადებულ ნაფიფით გავრინდლები და თვალწინ წარმომიდგება მშვენიერი სანახაობა: წადილი ამისრულდა, ობოლი აღარა ვარ და ჩემიანებ გარს-მოხვეული ცეცხლის პირს ვზივარ; დედაჩემი ზღაპარს მიაშობს ერთი ობლისას, რომელსაც გამვლელ-გამომვლელი იბრიყვებს და გაკირვება მუდმივ სტუმრად ჰყავს. მეცოდება ის საწყალი ობოლი! მაგრამ როცა სანახაობა თვალიდან გამიქრება, გული უფრო იცრემლებს.

როცა სულ დავობლდი, ნათლია გაბრომ წამიყვანა. თუ რამ გვებადა, ისიც იმან ჩაიბარა: სოფელმა პატრონად მომიჩინა. ნათლიანთ გომურში დავსახლდი, იმათ მოჯამაგირესთან ერთად. ის მოჯამაგირე—ისაკო—მეტად ზარმაცი კაცი იყო. ათ სულ საქონელს მე მავლევინებდა.



დილით ადრე, როცა კიდევ ცა შეთეთრებული არ იყო, ზამთრის სუსხი კარს აწვებოდა და შინ შემოსვლას თითქოს ლამობდა, — ისაკო გამაღვიძებდა: საქონელს დაუურვეო.

საურველს ავიღებდი და უურვებდი. მერე წყალზე წავასხავდი. ახლა სათივედან ისაკოს თივის ჩამოყრას ვშველოდი, საბძლიდან ბზის გამოტანას; თავისუფალ დროს კი ტყეში წამიყვანდნენ და მარხილებით შეშის მოტანას ვშველოდი.

ესე მითენდებოდა დღეები და ღამე მილამდებოდა. გულს უფრო ის მიწუხებდა, რომ ჩემი ტოლი ამხანაგები ყველა მბრძოლობდა: თამაშობაში „დედნად“ არ მიმიღებდნენ და ლახტაობაშიც ყველაზე მწვავედ ქამარი მე მომხვდებოდა.

ერთად-ერთი ადამიანი იყო ჩემი მიმთვისებელი: ჩვენი მეწისქვილის ცოლი — კეკე. თვითონ მეწისქვილე გარსევანი თავის საქმეში გართული იყო. ამბობდნენ, კეთილიაო, ბევრი ზღაპრების მთქმელიაო.

როცა კი წისქვილში მომიხვდებოდა ყოფნა, კეკე გამომეგებებოდა, მომიკითხავდა:

— როგორა ხარ, გიული? ხომ ყოჩაღადა ხარ? ღმერთთა მოწყალე, გაიზრდები, დავაეკაცდები და ბედნიერებას ვწვევი. ანდაზად არის თქმული: „ობლის კვერი ცხვა, გვიან გამოცხვა, მაგრამ კარგად გამოცხვაო“. — ხომ არა გშიან, გიული? — მკითხავდა, ჩემ პასუხს არ მოუცდიდა და წისქვილის გვერდით პატარა ქობში შემიყვანდა. ხშიადსა და ყველს მომიტანდა. ხან ტანისამოსსაც დამირეცხავდა, თავს დამბანდა, იმ ღამეს თავისთან დამარჩენდა: ისე გაცივდებიო. ჩვენში წისქვილი ძალიან ძვირია: ერთი წისქვილით ნ — ნ სოფელი მიდის იოლად და ამიტომ წისქვილში ხშირად მთელ დღეს ვიკდიდით. კეკეს დედობრივი მზრუნველობა ჩემს დღეში არ დამავიწყდება; მისი ალერსი ახლაც მახსოვს და მუდამ მაღლობით ვიგონებ იმ კეთილ ადამიანსა.

ნათლია გაბრო ხშირად ქალაქში ქირაზე დადიოდა. ერთხელ გაზაფხულის პირზე ქირაზე მეც თან ამიყოლა. ერთი



კვირის წინად სთქვა: „იმ კვირია ჭირაზე მივალ და ვიულის წაფიყვანო“. ჩემ სიხარულს განა ავიწერთ?! იმდენ ღრუბლებს კვირებს ის ერთი მზიანი გამოვრია.

კვირა დღეს, როცა მზე გადიხარა, გაბრომ ცული იილო და ურემს სინჯვა დაუწყო; ერთი ქალი გამოუცვალა, ორი ტაბიკი; აპეურები ტაბიკებს ახლები გაუკეთა; საპონი ბლომად მოამზადა ღერძისთვის, დაწნულ გოდრულაში*) ახალი კოკა ჩაღვა და გოდრულა ქალზე მაგრა მიიბა. ერთი დანდლაც ახალი დასჭირდა. ლართხის**) გამოცვლაც საჭირო იყო. ერთი სიტყვით—კარგად დასალამოურებამდის ურმის გამართვაში ვიყავით.

— შორი გზა გვაქვს გასაფლელი, და ურემმა გზაში არ უნდა უღალატოს კაცსაო,—სთქვა გაბრომ და ურემს გარს ცულით შემოუარა.

ორშაბათ დილით ურემი შევებით. სხვა ურემებს შეუერთდით და ჩვენი სოფლის ქვევით, ბარში, დიდ სოფელ ვ—ში ჩავედით. იქ კამეჩები და ხარები დევაქედინეთ ნალბანდს. ჩვენ ურემში სამი უღელი ება: უღელი კამეჩი და ყვეარი ხარი ვ—ში ორი ორმოც-ჩაფიანი ბოქვა ღვინო უნდა დაგვედო ქალაქში წასაღებად, და ურემს გაუჭირდებოდა.

საქონლის დაქედვა მაშინ პირველადა ვნახე. როცა ყორანა კამეჩი წამოაქციეს, ფეხები გაუკრეს და თავიც მაგრად გრძელ ხეზე მიუბეს,—მე თვალში ცრემლი მომადგა და ნალბანდს დაეუყვირე:

— კაცო, რაღა კლავ მა კამეჩს, რა დაგიშავა-მეთქი.—მე ის გამიკვირდა, რომ გაბრო იქვე იღვა, ნალბანდს ხმას არა სცემდა და პირიქით წაქცევასა შევლოდა. როცა ყველანი დანაღეს, გაბრომ კარგა ბლომა თეთრი აბაზიანებიც ჩაუთვალა ნალბანდს.

*) პატარა გოდორი.

**) ურმის ძირძე დასაგები ფიცარი.



შუადღე გადავიდა, როცა ღვინოები დაუდეს მუღალს ბაში ვშველოდი, საქონელს ვდარაჯობდი და ხან საგორაეებს უდებდი ურმის თვალსა.

ურმების ქარავეანი კარგა მოზრდილი იყო: სულ თორმეტ ურმამდის მოქუჩდა.

მეურმეების სარქლად*) ჩემი ნათლია გაბრო იყო, ამიტომაც მამალიც**) ჩვენ ურემზე იჯდა. პირველ მეურმეს სარქალს ჯაფა სხვებზე მეტი აქვს: გზას ეს იკვლევს, მტერსა და მოყვარეს პასუხს ეს აძლევს, ღვინოების პატრონთანაც ლაპარაკი ამას უხდება.

მზე გადიწვერა და ჩასელაც დააპირა, როცა ჩვენი მთები მიიმაღნენ და ერთ ხეობას შევყვეით. ურმების ქარავეანი მომეტებული ღამით დადის, რადგან დღისით ცხელა და საქონელი სიარულს ვერ უძლებს.

მზიარულია მგზავრობა ქარავეანზე: მთელი მიღეთის ხალხი შემოგხვდება წინ, ზოგი გიყვირის, გიტურტურებს: ჩქარა გზა მოგვეციო. ის კი არ იციან, დალოცვილებმა, რომ საესე ურმის მორიდება არც ისე ადვილია.

ზოგი ყვირის:—ეჰი, ეჰი! ბერიკაცო, ბებერო, გზა, გზა! ჩაიციანებს გაბრო თავისთვის და ურემს მოაცლის:—რამ დამაბერაო,—ჩაილაპარაკებს.

როცა საქონელს გამოუშვებდით, ჩემ ტოლი პატარა ბიჭები წყალზე წაფასხამდით, ხელში პურს დავიჭერდით და იქ წყალზე ვჭიდაობდით, ვკყუმპალაობდით და ვლაზლანდარობდით.

დიდები კი ქეიფს შეუდგებოდნენ. შუადღისას საქონელს ბალახზე მიუშვებდით. მორიგეობით ერთი იდარაჯებდა, დანარჩენნი კი ძილს მიეცემდით თავს საღამომდის.

*) სარქალი—უფროსი მწყემსებში, მეურმეებში.

**) მამალი მიჰყავს მოჭირავე ქარავეანს გათენების შესატყობად.

ღამე, როცა მამალი იყივლებდა, ცოტა ძილი წამოუღებდა, პარებოდა, ერთ-ერთი ზღაპარს იტყოდა და მეზობელი მეურმეები გაფაციცებით ყურს დაუგდებდით.

მეოთხე დღეს დილით ქალაქი გამოჩნდა: ჯერ მთა გამოჩნდა და მთის კალთაზე თეთრი საყდარი მერცხლის ბუდე-სავით ზედ მიკრული. ბოლოს სახლებიც გავარჩიეთ და საყდრებიც.

მთაზე რაღაც პატარა სახლივით ზევით მიდიოდა; მეორე—ძირს ჩამოდიოდა, შორიდან ძლივს მოჩანდა.

— ეჰ, ბიჭებო, — გვითხრა ჩვენში უფროსმა თედომ, — ხედავთ: ერთი ზევიდან მოდის უცხენოდ, მეორე ქვევიდან. ალბათ ერთმანეთს დაეტაკებიანო.

ჩვენც გაფაციცებით უცდიდით: აცა, როდის დაეტაკებიანო. მაგრამ გზა აუქციეს და ერთი ქვევით ჩამოიშალა, მეორეც ზევით.

ქალაქში შესვლისას ძალიან გაწვვალდით: გარს „სტრანიკები“ შემოგვეხვივნენ, ორი ვიღაც სათვალეზიანი რუსულად ჩაცმული კაცი, და გაბროს რაღაც ლაპარაკი დაუწყეს. გაბრო გამოცდილი მეურმე იყო და მაშინვე დანარჩენებს ნიშანი მისცა: ურმებიდან საქონელი გამოუშვითო. თურმე ქალაქში საქონელს თურქული*) გასჩენოდა და გაუსინჯავად ქალაქში გარედან საქონელს არ აქაქანებდნენ.

კარგა ხანს მოუნდნენ სინჯვას. ბოლოს ამოაჩინეს, რომ ჩვენი ხარი, შარშან რომ გამოვქენით ურმისთვის — თვალქრელა ხარი, აი, სხვა ხარებთან რომ რჩოლა უყვარს და თამაში, — თურქულის ნიშნებით ყოფილა ავად. ბევრი ელაპარაკა გაბრო ერთ სათვალეზიან კაცს, მაგრამ არა გამოვიდა რა. ერთ დუქანში მივაბარეთ ორი ხარი და შევედით ქალაქში.

*) თურქული — მსხვილ-ფეხა საქონლის ავადმყოფობაა.



ბევრი რამ გამიკვირდა ქალაქში და უფრო მომეწონა: გამიკვირდა ზედიზედ ესე მოწყობილი დიდი სახლები და დიდი შუშებიანი დუქნები. არ მომეწონა ქვევით მოქედლილი ქუჩები: კარგი გზატკეცილი ამ ქვევზე რახრახს უფრო აჯობებდა. გამიკვირდა უცხენოდ მოსრიალე „კონკები“ და უნავთო ლამპრები; არ მომეწონა ის შეხუთული ჰაერი, ზედიზედ მიწყობილი სახლები და მუდმივი ხმაურობა. გამიკვირდა აივნები, ქვეშ ბოძები რომ არ უდგიათ, ნეტა რატომ არ ჩამოტყდებოდნენ, და ხიდები მტკვარზე, რომელთაც ქვეშ ბურჯები არ ედგათ;—არ მომეწონა ის სიციწროვე და გადახრუკული, მტვრით სავსე გზები და გაფაციცებით მარბენალი და მაცქერალი ხალხი. ყველა გარბის, თითქოს რამე დაჰკარგვიათო.

ქალაქში კარგა ხანს ვიარეთ, მანამ აღვიღს მივიდოდით, სადაც ღვინოები უნდა ჩამოგვეცალა.

წინ ხმლიანი კაცები მალ-მალე შემოგვხვდებოდნენ და რალაცას ყვიროდნენ და იმუქრებოდნენ.

ბაკში რო მივედით, იქ ღვინოების პატრონი დაგვხვდა. გაბრომ სალამი მისცა და მეურმეებს ანიშნა,—საქონელი გამოუშვითო.

როცა ყველაფერი დავაბინავეთ, საქონელიც თივაზე მიუშვით და გაბრომაც ქირის ფულები ჯიბეში ჩაიჩხრიალა, მითხრა:—აბა, გიულ, ქამარი კობტად შემოიკარ; მიდი,—ხელები დაიბანე, ეგ სახრე გადააგდე; ქალაქში ძალღი არ გამოგიდგება,—და ჩემ ნათლიასთან წავიდეთ, თან ეს ძღვენიც წაუღოთო.

ცოტა ხნის უკან მოვემზადენით. გაბრომ ხურჯინი წამოიკიდა და მე უკან ავედევნე. როგორც იყო მივედით გაბროს ნათლიასთან. გაბრო ქალაქში ხშირად ნატარი იყო. იმ სახლის კარებთან, სადაც იმის ნათლია იდგა, ზარი იყო ჩამო-

სარეკი. დაძახება, ან დაკაკუნება არ შეიძლებაო, — მიიხრუპუნა და
რომ. იმ წამსვე კარი გაგვიღეს.

— აჰა, მობრძანდი, ნათლიმამ, — მოგვესმა ერთი ქალაჩა-
შერთული კაცის ხმა, რომელიც ის იყო მეორე ოთახიდან
გამოვიდა. და რაკი სავსე ხურჯინი დაინახა, პატის უმატა
და სიტყვაც ჩააშაქრა.

ხურჯინი სადაც მიიმალა. გაბრო სკამზე დაიწვიეს და
მოიკითხეს მთლად ჯალაბით. სადილად იქ დაგვიწვიეს. იმათ
ერთი პატარა ბაღლი ჰყავდათ, ესე ნ—ნ წლისა, ბარძიშს
ეძახდნენ სახელადა. ჩემზე ორი წლით უმცროსი იქნებოდა.

— ბიჭო, რა გქვიან სახელად? — მკითხა ბარძიშამ.

— გიორგი მქვიან, მაგრამ ვიულს შეძახიან, — უთხარი
გაუბედავად.

— წამო, ეზოში ვითამაშოთ!

გავყევი პატარა ეზოში, სადაც ოთხი-ხუთი აკაკიის ხე
იდგა. ქვებით იყო დაგებული და ირგვლივ დაბალი სახლე-
ბით შემორტყმული. ორი პატარა ქალი თამაშობდა და სა-
მიოდე ბიჭი. ყველა იმათ ჩემი თავი გააცნო.

ქალაქელების თამაშობა სულ არ მომეწონა: იქ არც
შურდული ქვის სროლა შეიძლებოდა, — თანჯრებს ჩაამტე-
რევი, არც ბურთის შორს გაკერა: ადგილი არ იყო ვაშ-
ლილი.

ვ. თამარაშვილი

(დასასრული იქნება)





დ მ რ ა

პოემა ალფრედ ტენისონის.

ალენი—მდიდარი ფერმის პატრონი;
ვილიამი—მისი შვილი;
დორა—მისი ძმისწული;
მერი მერისონი—მისი რძალი;



ლენი იყო ფრიად მდიდარი
 ფერმის პატრონი, მოხუცებული.
 მასთან ცხოვრობდნენ ძე ვილიამი
 და ქალი დორა, მისი ძმისწული.
 ალენი როცა მათ შესცქეროდა,
 გულში ჰფიქრობდა გახარებული:
 „ორივე ძალიან კარგი რამ არის,
 ერთმანეთისთვის დაბადებული,

მათ ჯვარს გადავწერ“... დორა ამჩნევდა
 მოხუცი ბიძის გულისა სურვილს,
 და ვილიამიც ძლიერ უყვარდა,
 მალეით შესტრფოდა თავის ბიძაშვილს;
 მაგრამ ვილიამს ნათესავ ქალზე
 არ მისდიოდა ტრფობისთვის გული...
 ერთხელ ვილიამს ამცნო მამამან
 თვისი სურვილი, დღემდის ფარული.
 —შვილო, მე გვიან შევირთე ცოლი...
 აწ მოხუცებულს მელის სიკვდილი.

მსურს ჩემი ნებით დავასახლო
და თვალთ ვნახო შენი კოლშვილი,
შებედღე დორას: რა ლამაზია,
რა საუცხოვო დიასახლისი!..
ჩემი ძმის ღვიძლი შვილია იგი;
აღრე გამეყო მე მამა მისი...
გარდახვეწილი თვის სამშობლოდან,
გარდაიცივალა უცხო მხარესა —
და დამიტოვა ობლად ასული
მისი დაკარგვით ძმას მწუხარესა.
ძმის პატივცემით მისი ასული
შვილად დავსახე და მივიმადღე...
და აღსაზრდელად ჩემს ჰერსა ქვეშე
ზრუნვით მივიღე ობოლი მალე.
მას უკან, იცი, ჩვენს სახლში სცხოვრობს.
შეირთე, შვილო! ჩემი წადილი,
რასაც აქამდის გულში ვმალავდი,
მით შეასრულე კეთილშობილი.
მაგრამ, — მიუგო უშიშრად შვილმა:
— რა ექნა? დორაზე არ მიმდის გული!
ამა პასუხით მოხუცი მამა
დორბლებსა ჰყრიდა განრისხებული.
— მაშ დორა არ გსურს?! ურჩობას ჰბედავ?
კურთხეულ იყოს ძველი დროება,
როს მორჩილებდა მამასა შვილი,
და თვის გადუვალ კანონად უჩნდა
თვითეულ შვილსა მამის სურვილი.
მისმინე, შვილო, ჩემო ერთგულო!
მოსაფიქრებლად გაძლევ ერთ თვესა
და, თუ თვის ბოლოს გაჯიუტდები,
პასუხსა მომცემ მე ამავესა,





ვფიცავ შემომქმედს, ჩემსა ჭერს ქვეშე ველარ შემოყოფ შენს შემცოდე თავს!“
 ვილიამ გადის გაჯავრებული და მეტის ღელვით სახეს იკაწრავს. შემდეგ ამისა რაც უფრო დორას მისჩერებოდა, ის რწმუნდებოდა, რომ არ ძალედდა მის შეყვარება, და მას მრისხანედ ეკიდებოდა; მაგრამ დორა კი ჩვეულებრივად იყო, ვით წინად, მშვიდი და წყნარი; ნათელს და დინჯსა იმის სახესა, არ ემჩნეოდა სევდა რამ მწარი. ცოტალა უკლდა თვის შესრულებას, ვაჟმა დასტოვა მამის სახლ-კარი და მეზობლების საგაზრდილოში იპოვა იმან თავშესაფარი. იქ მან შეირთო თავის მეუღლედ ახალგაზრდა და ღარიბი ქალი, მერი მერისონ, სოფლის ასული, და უდღემამოდ მყოფი საწყალი. ოდეს შეიტყო მამამ ჯვრის წერა ვილიამისა, დორას უთხრა მან: — გულით მიყვარხარ ღვიძლი შეილივით, მაგრამ გაფრთხილებ, — იცოდეს ღმერთმან, — თუ ხმასა ვასცემ ჩემს ყოფილ შვილსა და ან არჩეულ შის ცოლად ქალსა, ველარ იხილავ ჩემს არე-მარეს და კარს, ჩემს სახლში შემოსავალსა! — დორამ აღუთქვა საყვარელ ბიძას, რომ აღასრულებს წმინდა მის მცნებას, გულში კი ჰფიქრობს: შვილს აპატივებს; დრო გაანელებს მის მრისხანებას.

დღე დღეს მისდევდა და ღამეს-ღამე:
 ვაჟი ეყოლა ვილიამის ცოლს...
 ვილიამს ბედი გადუტრიალდა
 და დაავიწყდა მამისა და ტოლს.
 ვერ შოულობდა სამუშევარსა,
 უღონდებოდა შიმშილით გული...
 ხშირად მამისა სახლისა ახლოს
 ვიდოდა ძალზე დასუსტებული.
 თუმცა იცოდა მოხუცმა, რომ შეიღს
 ეწვია ბედი გამწარებული,
 მაგრამ შეველას არ აღმოუჩენდა,
 მისი ურჩობით განრისხებული.
 ამ დროს მალულად კეთილი დორა,
 რითაც ძალ ეღვა, იმათ შეველოდა;
 და ვინ აწვდიდა ცოლქმარს შეველის ხელს,
 მათგან არც ერთმა ეს არ იცოდა.
 ვილიამს შეხვდა ციებ-ცხელება,
 ლოგინში ჩაწვა დასუსტებული
 და შემოდგომის ერთს დღეს სნეულმა
 დალია თვისი ნატანჯი სული.
 ვილიამისა ქვრივთან შევიდა
 დორა აღერსით მოკრძალებული.
 დედას პატარა ვაჟი იმ დროსა
 ხელეებზე ჰყავდა გაგორებული,
 და ბაღლის სახე მშობლისა ცხარე
 კრემლითა იყო დასველებული.
 ქვრივს არ უნდოდა სახლში მიეღო
 დორა, ცოლქმარისგან მტრად დასახული,
 მაგრამ აღერსით უთხრა დორამ ქვრივს:
 ამას ვნანობ დღეს მთელი არსებით,
 რაც უბედობა ვილიამს შეხვდა,
 დამნაშავე ვარ მასში საესებით.



მუდამ ძვირფასი აჩრდილისათვის,
 ვინცა შავს მიწას ამოეფარა,
 და შენთვისაცა, ვინაც ქერივისა
 შავი სახური გადაიფარე,
 და მის ბაღლისა გულისათვისაც,
 მოვედი აქა... წელს მოსაველი,
 გულ-გატეხილებს წინა წლის გამო,
 ბევრი გვექნება. დასტკბება თვალი.
 მომეცი ბაღლი. და იქ, მინდორში,
 ყანებისა და ყვავილთა შორის,
 დავსვამ მას, რათა ბიძამ იხილოს
 იმ ეაშს, მოსაველს როცა დაჰხარის.
 მრწამს: მორბილდება იმისი გული,
 დაავიწყდება შეილისა მტრობა,
 ცრემლით დალოცავს თავის შეილიშვილს,
 და მოეფინვის მის გულს მშვიდობა.
 დორამ მიიყრდნო გულზე ყმაწვილი,
 და გამალებით გასწია მინდვრად,
 სადაცა ყანა ზღვისებრ ლელავდა,
 და ყვავილებიც ჰკრთოდა ლაღის ფრად.
 ყაყაჩოებით შემკულსა სერზე
 ყვავილთა შორის დასვა ყმაწვილი,
 თვითვე მოუჯდა იქავე გვერდით,
 აღენის ნახვის ჰქონდა სურვილი.
 მაგრამ აღენმა შორს გაუარა.
 მსახურთაგანიც ვერვინ ბედავდა
 ეთქვა იმისთვის: დორა უცდიდა
 ღა თან პატარა ბავშვიცა ჰყავდა.
 დორას უნდოდა ზე ამღვარიყო
 და მოხუც ბიძას მისალმებოდა,
 მაგრამ იმისი სიტყვის გამტეხი,
 მასთან შეხვედრას ერიდებოდა.



მზე ჩადიოდა; ყანის მუშაკნი
 უკვე რჩებოდნენ თავისა საქმეს
 და დღისა ნაცვლად ხალხი ელოდა
 დასვენებისა მომნიქე ღამეს.

მეორე დღესა კვლავ დორა ბაღლით
 მინდვრად წავიდა და გზის პირს დაჯდა...

და მოკრეფილი ყვავილებისას
 გაჩქარებითა, გვირგვინსა სწნავდა.

ამა გვირგვინით შეამკო დორამ
 პატარა ბიჭის პატარა თავი,
 რომ გამხდარიყო მოხუც ბიძისთვის
 სასიამოვნო დასანახავი.

როცა აღენმა, ყანად მოსულმა,
 იქვე იხილა თვისი ძმისწული,
 სწრაფი ნაბიჯით მასთან მივიდა
 და მას ჰკითხავდა გაჩქარებული:

—სად იყავ გუშინ? ახლა აქ რად ხარ?
 ან ვისი არის, მითხარ, ყმაწვილი?

გაუბედავად გასცა პასუხი:

—ვილიამისა იგია შვილი.

—მაგრამა ნუ თუ ჩემი სიტყვები
 მიეცი მალე დავიწყებისა...

მე ხომ გიშლიდი!—დორამ მიუგო:

—იქონიებდეთ მოთმინებასა...

შეგიძლია მე უგულუბელ მყო,
 მაგრამ შეიტკბე შენ შვილიშვილი.

ნულა აღსენებ ცუდად ვილიამს,

დღეს რომ გულზე აქვს მიწა დაყრილი.

აღენმა უთხრა:—ეს ხრიკებია.

სჩანს თანავიგრძნობს ამ ბავშვის დედა...



მიმოძღვრებ ჩემსა მოვალეობას
 და დააფურთხებ ჩემს ნებაზედა.
 ძალიან კარგი: წავეყვან ბავშვსა,
 მაგრამ შენ,—დორაე, შორს და მშვიდობით!
 დაჩუმდა იგი, მტირალი ბავშვი
 გამოსტაცა მას ძალის-ძალობით,
 და წაიყვანა... ყვევილთ გვირგვინი
 დაეცა დორას ფეხების წინა.
 დორა დაღონდა. თავი დახარა
 და სევდის ცრემლი გადმოედინა.
 იჯდა დიდხანსა განმარტოებით...
 ბავშვის ტირილი ჯერეთ ესმოდა...
 მაგრამ თანდათან ტირილისა ხმა
 სუსტდებოდა და იკარგებოდა.
 ბოლოს განქარდა... მას უნებლიედ
 თვისი წარსული აგონდებოდა
 იმ დღიდან, რაც მას თავისი ბიძა
 ტკბილ მზრუნველობით ემაშებოდა.
 მუშაკნი დღიურ ჯაფას რჩებოდნენ;
 მზის სინათლე კი იწურებოდა,
 და ბნელ ღამისა შავი საფარი
 დედამიწასა ეხურებოდა...
 დორა წავიდა მერრისონისას,
 მაგრამ კარებთან მან შეიკადა
 რამდენიმე წუთს, რადგან შიშისგან
 მის სახლში შესვლას ვერა ბედავდა.
 როს მერრისონმა იხილა დორა,
 სიხარულითა აღევსო გული
 და ობოლ შვილის მფარველობისთვის
 ღმერთსა მადლობდა აღტაცებული.

— ბიძამ ყმაწვილი შენი მიიღო;

მეც შენთან დავრჩე მომეცი ნება,
 სამუშაოში მოგეშველები.

ბიძასთან ყოფნა არ მოხერხდება.

— არა, არას გზით არ ვიპრიანებ,
 რომ ჩემ გულისთვის იტანჯებოდე.
 არც დავუტოვებ ჩემს შვილს ბიძა-შენს,
 რა გინდ შევბედით ვიქნეჯნებოდე:
 ის გაუცივებს გულს ჩემსა შვილსა
 და შეაძლებს დედას მშობელსა.

წავიდეთ, დორაე, ერთად წავიდეთ
 და შევევედროთ შეუბრალებელს,
 რომ დაგამყაროს კვლავ თავის სახლში,
 და მე კი მომცეს ჩემი ყმაწვილი.

და, თუ ეს ჩემი თხოვნა იქნება
 ბიძაშენისგან უარყოფილი,
 მაშ მეტი რა გზა დავგზრჩენია,
 ერთად ვიცხოვროთ ორივემ ჩვენა.
 ერთად ვიზრუნოთ ბიჭიკოსათვის
 და ვიზიაროთ ქირი და ლხენა,
 სანამდის იგი გაიზრდებოდეს
 და გახდებოდეს ნუგეში ჩვენი.
 ორივე ერთმანერთს გადაეხვივნენ,
 ერთმანეთისა მოიმედენი.

კოტა ხნის შემდეგ ალენის სახლში
 მივიდა მალვით ეს ორი მგზავრი,
 და ყველაფერსა ცხადად ხედავდნენ,
 რადგან დახშული არ იყო კარი.
 აგერ ალენსა თვის შვილიშვილი
 მუბლზე დაუსვამს, ეალერსება:

პატარა ბავშვი შელიმის და მის
 საათის ძეწვესა ეთამაშება.

მოხუცი იმას ხან ლოყაზე სჩქმეტს,
 ხან თითს დაუქნევს, ხან კოცნის შუბლზე;
 ეტყობა ცხადად, რომ ბაბუასა
 გულიცა ერჩის თვის შვილიშვილზე.
 შევიდნენ ქალნი. ბავშვმა შესული
 რა დაინახა თავისი დედა,
 მისკენ მიმართა პატარა ხელნი.
 ბაბუამ დასვა იატაკზედა.

—მე არასოდეს,—უთხრა მას მერიმ,—
 არ მითხოვია თქვენთვის არა რა.
 არც ჩემ შესახებ, არც ვილიამის,
 არც შვილის გამო: ჩემი მუდარა
 დღეს თქვენ წინაშე დორას ბედია.
 მას გულში თქვენი აქვს სიყვარული:
 მიეცით ნება თქვენთან იცხოვროს
 და თქვენთან იყოს ისევ ძმისწული.
 ვილიამს თავის სიკვდილის წინად
 გულში არ ჰქონდა არავის მტრობა:
 შეურიგდა ის შემღურებულებს
 და ყველას მისცა კოდვის შენდობა,
 მაგრამ ერთი რამ უკლავდა გულსა,
 აღონებდა და მუდამ სტანჯავდა,
 რომ სიკვდილის წინ საყვარელ მამას
 თვის სარეცელთან ვერა ხედავდა.
 რომ მამასთანა შეურიგებლად
 წუთისოფელსა ეთხოვებოდა.
 ბევრში თვის თავი დანაშაულად
 მამის წინაშე ეგულებოდა.



თვალს რომ ხუჭავდა, მაშინ წარმოსთქვენ
 ვედრებით სიტყვა უკანასკნელი:
 „დაე ნუროდეს ნუ... ნუ შეიტყობს
 ამა ამბავსა მამა მშობელი,
 რომ ღვიძლ მამასთან შეურიგებლად
 სიკვდილი არის ძალიან ძნელი“.
 აწ გთხოვთ: მიბოძეთ მე ჩემი შვილი,
 თქვენ გახდით იმას მრისხანე ზნისას
 და შეასწავლით პატივს არ სცემდეს
 ხსოვნას თავისი საწყალ მამისას.
 კვლავ დაამკვიდრეთ თქვენს სახლში დორა,
 და ძველებურად დარჩეს ყოველი.—
 ასე ამბობდა მერი მოხუცთან,
 დორა კი იღვა აკრემლებული,
 და რამდენიმე ხანს ჭერსა ქვეშე
 სიჩუმე იყო გამეფებული.
 აღენმა იგი თავის ქვითინით
 დაარღვია და თანაც ბრძანა:
 ვაიმე, მამას... მეც ბევრში ვტყუი:
 შვილს გაეუღესე საკლავი დანა:
 ჩემი ძვირფასი შვილი უდროოდ
 სამარის ქვეშე ამოვაფარე...
 მე ჩემი პირმშო კარში განვაგდე,
 ამ ცოდვით ღმერთი მე გავამწარე.
 ჩემო შვილებო! აწ გვეედრებით:
 მომხვიეთ ხელი მოხუცებულსა
 და მომიტევეთ, რაც რამ შეგცოდეთ,
 რითაც ვტანჯავდი მძიმედ თქვენ გულსა!
 გადაეხვივნენ—მოხუც მამასა
 და მიუტევეს დანაშაული...

სინანულისა გრძობით აღიესო
 ამისა შემდგომ მოხუცებული.
 კვლავ გაიღვიძა იმის გულშია
 სიყვარულისა ძველმა გრძობამა;
 და დიდხანს შვილის მოგონებითა
 ცრემლები დღვარა მოხუცებულმა.
 ამისა შემდგომ იმა ფერმაში
 ოთხივ სცხოვრობდა მშვიდად და წყნარად...
 გავიდა ხანი... მერი სხვას ვაპყვა,
 სხვა აღირჩია თავის მეგობრად.
 დორამ უარპყო სულ ქორწინება,
 კვლავ თავის ბიძის იყო ერთგული,
 და სიკვდილამდის კეთილი ქალი
 უწინდებურად დარჩა ქალწული.

ილ. ფერაძე





გერია საბრალოს

შვილის არაკი



ყო ერთი საწყალი ცოლ-ქმარი. ჰყავდათ მხოლოდ ერთი ვაჟი, ძლიერ ლამაზი და ღონიერი, სახელად „გერია“.

ერთ დღეს ეს ბავშვი სანადიროდ წავიდა და სალამოს რომ სახლისკენ მოდიოდა, წყაროზე მიმავალი კოკიანი დედა-კაცი დაინახა. ესროლა ისარი და კოკა გაუტეხა. დედა-კაცმა მოიხედა და უთხრა: „შენ თუ ასეთი მარჯვე ვაჟი ხარ, მე კოკას კი ნუ მიტეხავ, თორმეტ მთას იჭით რომ თორმეტ ძმა დევეს ერთი და ჰყავთ, ის მოიყვანეო“.

ეს რო ვაჟმა გაიგონა, სიყმაწვილის გამო გულმა ბაძგალი დაუწყო, სანამ იმ ქალს ნახავდა. მოვიდა სახლში და დედ-მამას უთხრა: „ერთი წლის საყოფი საგზალი გამომიტხვით, და თუ ამ დანიშნულ დროს ვერ მოვიდე, თქვენც უკან გამომყვებით“. დედ-მამა უარს დაუდგა: „შენს მეტი არავინა გვყავს, და შენც გვეკარგებიო“. ტირილი დაიწყეს, მაგრამ გერიამ თავისი არ დაიშალა და გაუკეთეს ერთი წლის საგზალი. მათი გამოთხოვება გამოუთქმელია, ისეთი მწუხარება

იყო. ისე რომ ყველაფერმა შეიტყო მათი გამოთხოვება: მზემ და მთვარემ, ცამ და მიწამ, ზღვამ და ქვიშამ. ბოლოს დალოცეს და გაუშვეს. გერიამ თან წაიყვანა ერთი პატარა ფინია, სახელად „მათი კოჩი“ *).

იარა, იარა, იარა, რაც შეეძლო, იმდენი იარა: კვირა, თუთხმეტე წელიწადი და სამი თვე იარა და ექვსი მთა გადაიარა. ეს ექვსი მთა რო გაათავა, ყველაფერი შეირყა: ხე და ქვა ერთიანად წაიქცა და თავდაღმართს დაგორდა. მაგრამ გერიას ამითი არა ევნო რა. ამ დროს ქვევიდან ხმა მოესმა: „რა კაცი ხარ, მე რო გამიძელი? გერია საბრალოს შვილის მეტი მე ვინ გამიძლებდაო?“ ვაჟმა დაუძახა: „მე გახლავარ გერია, საბრალოს შვილიო“.

როგორც კი ეს გაიგონა როკაპმა, აქეთ ეახლა, თავი დაუკრა, ძალიან პატივი სცა და ჰკითხა: „საით მიბრძანდებიო“?

ამანაც თავისი განზრახვა უთხრა, მაგრამ როკაპს ეს ძლიერ ეწყინა. გერიამ ჰკითხა: „რისთვის გეწყინაო“?

— მისთვის რომ იქით მიმავალი ბევრი მინახავს, აქეთ დაბრუნებული კი არავინო.

მაგრამ ამ ლაპარაკს გერიამ ყურიც კი არ ათხოვა და ისევ გზას გაუდგა. იარა, იარა, იარა, რაც არ შეეძლო იმდენი იარა და სხვა ექვსი მთა გადაიარა. აქ ქვეყნის კიდევ უარესი რყევა და ძრვა შეიქნა, მაგრამ გერიას არც კი შეუტყვია. თურმე ეს როკაპის უფროსი დის სოფელი ყოფილა. ამ როკაპმაც დაუძახა: „რა კაცი ხარ—ჩემს შუქს რო გაუძელი? გერია საბრალოს შვილი ხომ არა ხარო“?

— მე გახლავარო.

რალა ლაპარაკი უნდა, მაშინვე მოეგება ეს როკაპი, თავი დაუკრა, პატივი სცა და შემდეგ ჰკითხა: „საით მიბრძანდები“?

*) მათი-კოჩი—მეც-კაცი



ერ. 1935 წლის
ნოემბერი

ბიო“? გერიამ მისი განზრახვა უთხრა, მაგრამ ეს ძლიერ შეწუხდა. გერიამ ჰკითხა: „რისთვის შეწუხდიო“?

— რისთვის და იქით შიშვეალი ბევრი მინახავს და უკან დაბრუნებული კაცი კი არ მინახავსო, მაგრამ ერთ სიკეთეს გიზამო, — უთხრა როკაპმა, — ჩემს სამფეხიან რაშს გაჩუქებო.

დაუძახა რაშს და უთხრა: „სანამ ცოცხალი ხარ, არ უღალატო გერიასაო“.

გამოეთხოვა გერია, შეჯდა რაშზე, წაიყვანა მისი მათი-კოჩი ფინია და წავიდა. გავიდა ერთ დიდ მინდორში და კიდევ მიუახლოვდა დევების სასახლეს. ამ მინდორს რო თვალი მოაფლო, გულის კარი გაეღო, თვალი წყლით აფესო და თქვა: „მადლობა მოწყალე ღმერთსაო!“ დაჰკრა რაშს მათრახი და ისე აათამაშა, რომ მტვერი და ჰაერი აღარ იჩეოდა და თქვა: „ახლა დავიბადე უნახავ ქვეყანაშიო!“ შივიდა დევის ქიშკართან, გადმოხტა ცხენიდან და იქვე მიაბა. ცოტა რო წინ წაიწია ეზოში, თქვა: „ეს რაში ახირებულად მივაბიო“; დაბრუნდა ისევ, მოთხარა ერთი მუხა, თავდაღმა ჩაასო მიწაში და იმაზე მაგრად მიაბა რაში. რაშმა უთხრა:

— ასე რომ არ გექნა, მე სახლში წავიდოდით. აბა ახლა რაც ვითხრა, ის აასრულეთო. ახლა დევები შინ არ არიან და მიდი, ერთი ქვაბი ამხვია და ის გადმოაბრუნე, შემდეგ ქალთან მიდი და პირობა ჩამოართვიო.

წავიდა გერია, ქვაბს ფეხი ჰკრა, სამჯერ გადაატრიალა და პირაღმა დადგა. შემდეგ ქალთან წავიდა. დატეხა ყველა კლიტეები და შევიდა სადაც რო ქალი იყო. ქალს ძლიერ ეოცა, მაგრამ როდესაც დაინახა ვაჟის კარგი სიყმაწვილე, გაეხარდა და, რაღა ბევრი გავაგრძელო, პირობა მისცა. გამოვიდა იქედან ვაჟი მზიარულად და რაშთან მოვიდა. იმ ღამეს იქ მოისვენა და მეორე დღეს რაშმა უთხრა:



— ახლა დევები მოეიდნენ და ქვაბი რო გადმოსაბრუნებოდა ბული ნახეს, ყველას შეეშინდა, რადგან იმ ქვაბს თორმეტი კაცი სჭირდებოდა გადმოსაბრუნებლად და თქვესო: „ამის მქნელმა რაც უნდა გვითხრას, დავუჯეროთო“, და ახლა წადიო.

წავიდა გერია და როგორც კი დევებმა დაინახეს, ყველანი წამოცვივდნენ, მოგებნენ, თავი დაუკრეს და მოახსენეს:

— რას გვთხოვო?

— თქვენი და უნდა მომცეთო.

— ჩვენ კი მოგცემთ, მაგრამ შავი ხელმწიფე არ დაგანებებსო, — დაუმატეს.

გერიამ უთხრა:

— არავისი მეშინიაო.

და, აქაც რალა გავაგრძელო, ისედაც დიდი არაკია და ეყოფა მაყურებელს, — ქორწილი გამართეს.

ქორწილში რომ სხედან, ამ დროს გაიხედა გერიამ და დაინახა ბერი შავად გამოწყობილი კაცი, შავი ხელმწიფის გამოგზავნილი. შეჯდა რაშზე, გაერია შიგ, ერთმანეთს მიაწყვიტა და სამი მოამბედ გაუშვა: „მე ვახლავარ გერია საბრალოს შვილიო“, შეუთვალა. ეს რომ ხელმწიფემ შეიტყო, იუცხოვა და რაც ჯარი ჰყავდა — ცოტას მეტი ყველა გამოგზავნა. როდესაც გერიამ ეს ჯარი დაინახა, ცოტა შეფიქრიანდა, მაგრამ რაშმა უთხრა: „ეს არაფერია, ყმაწვილო, უარესს მოელოდეო“.

მოუქნია გერიამ რაშს და ყველა დახოცა ერთის მეტი. ეს მოამბედ გაუშვა. ახლა სრულიად განრისხდა ხელმწიფე და მოიწვია თვისი საიმედო ნაქები კაცი, რომელიც გაჭირების დროისათვის ჰყავდა და სახელად „ყვამურიცხამი“*) ერქვა,

*) ყვამურიცხამი — შებლვარსკვლავისანი.



მას ჩააბარა დანარჩენი ჯარი და გაუშვა. ადგა გერგო და რომელიღაცეა გაიხედა, შენს მტერს დაუნახავს, იმან დაინახა. ძლიერ ეწყინა ყვამურიცხამის დანახვა, მაგრამ რას იზამდა? რაშმა უთხრა: „ეს არის ყმაწვილო, შე რომ გეუბნებოდით“.

გერიამ დაიწერა პირჯვარი, მადლობა ღმერთსაო“ თქვა. გამოეთხოვა ცოლს, რადგან სიცოცხლეს აღარ ელოდა, და გამოვიდა. ჯერ ჯარი დაუბოცა ყვამურიცხამს და შემდეგ ეს ორი დაეტაკნენ ერთმანეთს და დაუშინეს ერთიმეორეს ლახტები ცხენდაცხენ. მაგრამ ძალაში არ იყო საქმე: რადგან ყვამურიცხამის სული სხვას ებარა, იმას რა მოჰკლავდა? და დაუძახა გერიას: „ასე უნდა, ყმაწვილო, სროლაო“ და მოკლა გერია. ეს მისი ცოლი მოიტაცა და შავ ხელმწიფეს მიუყვანა. ქალმა უთხრა ხელმწიფეს: „შე ისეთი კაცის ნაცოლები ვარ, რომ ასე ადვილად შენი ცოლი არ გავხდებიო. ან მექედე და ვინც მოერიოს—მისი ნება შესრულდეს, ან და სამ თვეს მადროვე ქმრის გლოვაო“. ხელმწიფეს ჭიდებისა შეეშინდა: „დევის ნათესაჲაო“—და სამი თვე აცალა.

როდესაც გერია მოკვდა, მისი თავი ცალკე იდო და ტანი კიდევ ცალკე. მივიდა მისი მათი-კოჩი ფინია, ერთმანეთს მიაწყო და იქვე სამწყესაჲდ მოუჯდა.

ამასობაში ერთი წელიწადი გავიდა, და რადგან დედ-მამამ გერია დაბრუნებული ვერ ნახეს, თითონ გაჰყვენ უკან. რომ მიუახლოვდნენ იმ ადგილს, სადაც გერია იდგა, ერთ ვიწრო შარახე ბევრი გველი ნახეს შეკრებილი. გველები ერთმანეთს დაერივნ და დახოცეს ერთმანეთი. შემდეგ გამოძვრა ორი დიდი გველი და ერთ წყალზე ჩავიდნენ. ისევ ამოვიდნენ, იქით-აქით გადაუარეს დახოცილ გველებს და ყველა გაცო-

ცხლდა. ეს სანახაობა ძლიერ გაუკვირდა გერიას დედ-მამას და თქვეს: „ეს წყალი ცოტაოდენი წავილოთ“. ამოაესეს სათითე და წაიღეს.

როდესაც მიუახლოვდნენ გერიას, მათი კოჩი ფინიამ დაინახა ისენი, გაიქცა და მიეგება, დიდი მწუხარებით გაუძღვა წინ მათ და მკვდართან მიიყვანა. როდესაც გერია მკვდარი ნახეს, ორივე საბრალო გულშეწუხებული მიწაზე დაეცა. იტირეს ბევრი. შემდეგ გაახსენდათ, ის წყალი რომ თან ჰქონდათ, საცოდავმა დედამ აიღო ის წყალი და გერიას გადაახსა. გერია გაცოცხლდა და თქვა: „ვაი, რამდენხანს მძინებო!“

გაიხედა გერიამ და დედ-მამა დაინახა. ძლიერ გაეხარდა, მაგრამ თავის ამბის მოგონებამ ისევ შეაწუხა და „მშვიდობითო“ უთხრა დედ-მამას და კვლავ გამოეთხოვა. დედ მამამ ბევრი იტირეს, მაგრამ ღმერთს მიანდეს მათი საქმე და მოითმინეს.


წავიდა გერია და იმ ხელმწიფის ქვეყანას რომ დაუახლოვდა, ერთი დიდი ტყე შეხვდა. შიგ რო შევიდა, რალაც ხმაურობა ისმოდა, მეტი რომ არ შეიძლება. გაჩერდა გერია და დაინახა, მოდის რალაც და ხეებს ერთი მეორეს აღეწავს. დააკვირდა, დაინახა ერთი დიდი ტახი, რომელიც გამოეჭანა და ჯიქურ გერიას ეცა. უქნა მოგვერდი გერიამ და სამ მხარზე გადაავლო, მაგრამ ტახი ისევ ეცა და სამი დღე და ღამე ასე ჰქიდაობდნენ. ბოლოს აჯობა ყმაწვილმა და შუაზე გაგლიჯა. რო გაგლიჯა, მუცლიდან შველი გამოხტა. შველი მოჰკლა, კოლოფი გამოიღო, გატეხა, სამი მერცხალი გამოფრინდა; ორი მათგანი მოკლა გერიამ და ერთი დაიჭირა.




ამ დროს ყვამურიცხამი ავიდ გახლა და სულთმობრძევი: 11
 შეიქნა. თურმე მისი სული ყოფილან მერცხლები, და შესახებ
 რომ მოკლა გერიათ, ყვამურიცხამმაც სული დალია. შემდეგ
 გერია შევიდა ხელმწიფის სასახლეში და თავისი ცოლის მე-
 ტი ყველანი ერთი მეორეს შეაწყვიტა, ცოლი კი წამოიყვა-
 ნა თავის დედ-მამასთან.

დიდი მზიარულება მოუვლინა ღმერთმა დაბოლოს გე-
 რიას დედ-მამას მათი მოთმინებისათვის.

იასკე ვიუშაძე





მგეო, თვალვს რათა ხუჭავ?

მგეო, თვალვს რათა ხუჭავ,
რათ გვარიდებ ტურფა პირსა;
რათ გვაობლებ შენ მოყვარულთ
და გვაყენებ გასაქირსა?

უშენობით ყველა სტირის,
მზე-უქვერიტა, ნაზი ია;
ვარდის ბუჩქსაც ცრემლი სცვივა,
თავი დაბლა დაუხრია.

ყანის პირში ტოროლა ზის,
ჩაფარდნია პირში ენა;
ცაში შერცხალთ ველარ ვხედავთ,
მიატოვეს კიკიკ-ლხენა.

გულ-ჩათხრობით კაკლის ზე სდგას,
ბალახს ფერი შეუცვლია;
ბულბულეების არსად ისმის
გულ-წარმტაცი ტია-ტია...

მგეო, თვალვს ნუ გვარიდებ,
ნუ იბრუნებ ტურფა პირსა;
ნუ გვაობლებ შენ მოყვარულთ,
მოგვარიდე გასაქირსა!..

დ. კლითაშვილია.





მამა როდის დაბრუნდება?

ქხიარული იყო გიგლა,
მოცქრიალე, მომღიმარი;
ფეხ-ქვეშ ჰქონდა მოდებული
ბალი, ველი, ნაფუძარი.

მინდვრად ყანებს ეწვეოდა,
სამწყეროდ გამართული;
მათთვის ეგო კაკანათი,
ძუით მაგრად გახლართული.

ახლა?.. გიგლას სევდა აწევს,
თვალზე აღგას ცრემლი მწარე;
აღარ ჰხარობს, მიატოვა
სანაევარლო არემარე.

საყვარელი დედის გვერდზე
ზის და მშობელს ეკითხება:
—დედი, მითხარ, გენაცვალე,
მამა როდის დაბრუნდება?.

დედა მწარე ამოხვრით
გიგლასა ხვევს სუსტსა ხელებს;
ხმის ვაღებას ვერა ბედავს,
უხვად აფრქვევს მწარე ცრემლებს.

რად მიმაღავ, დედა ჩემო,
 მითხარ—მამა როგორ არი;
 ხომ არ მოჰკლეს ბრძოლის ველზე,
 ხომ არ გემართებს გლოვა, ზარი?!


არა, შვილო, მამა-შენი
 დაბრუნდება სახლში ჩქარა;
 დაიმშვიდე პაწა გული,
 ცრემლების ღვრა კმარა... კმარა!...

მაგრამ გიგლა ვერ მშვიდდება:
 თითქოსა გრძნობს რაღაც ახსა;
 კვლავ უტირის გული მწარედ
 და ცრემლები სწვავენ თვალსა.

მოწყენილი, დედის გვერდზე
 ზის და კვალად ეკითხება:
 დედი, მითხარ, გენაცვალე,
 მამა როდის დაბრუნდება?..

დედამ იცის... იცის, მაგრამ
 ვის გადუხსნას თვისი წყლული?
 გიგლას მამას ბრძოლის ველზე
 გაუგმირეს უღვთოდ გული.

დ. კლაიზაშვილი.





ხარების მშობა

შაბხაძისა ნ. დიმიტრუხაძის.



მარ-და-მხარ, სწორედ ისე, როგორც უღელში მუშაობის დროს, იდგნენ ვარსკვლავა—მარჯვნივ და ლომია—მარცხნივ ბინჯისას ბაკის კარებთან. კორდის გადაღმა ქაობიან თხემლწარიდან, სადაც სინესტისა და ახალ დაყრილი ცვარის სუნი იდგა, შაშვის სტვენა ისმოდა, ყველა ფრინველების ხმაზე უფრო ნაზი და წკრიალა ხმა.

მკრთალ ცის თალის უძირო, ნაზ, მომწვანო იის ფერ სიღრმეში ტრიალებდა ძეგა და დრო-გამოშვებით ხანგრძლივად და მკახედ გაჰკიოდა. კალოს გადაღმა ბნელ ნაძვწარიდან საღამოს სიოს ფისის საამო სუნი მოჰქონდა. ქაობში, თხემლწართან, საიდანაც შაშვის სტვენა ისმოდა, ბაყაყმა დაიყიყინა. ბოლოს ერთმა ხარმა წელა და მწუხარედ დაიღმუილა. კარგა ხანია გადასული იყო დრო, როცა საქონელი წყალზე უნდა გაერეკათ. მეორე ხარმაც იმ წამსვე უფრო ტლანქადა და დაეინებით გაიმეორა ამხანაგის ჩივილი. ქობის გვერდით, — ხარები ამას კარგად ხედავდნენ, — კიდემდის წყლით ავსებული ვარცხლი იდგა. რაღაც არაჩვეულებრივი ამბავი მოხდა: პატრონი არ გამოჩნდა, რომ ხარები წყალზე გაერეკა.

ხარები საუცხოოდ შერჩეულნი იყვნენ. ორივე მუქი წითელი ფერისა, განიერ და მაგარ მხართემობიანები, მოკლე,



სწორი რქებითა, ფართო შუბლზე წმინდა თეთრი ლაფებითა, ისინი გარეგანი ნიშნებით ისე ჰგავდნენ ერთმანეთს, რომ გამოუცდელი თვალი იმათ ერთმანეთში ვერ გააჩნევდა. უღელში მძიმე მუშაობას ჩვეულნი, ისინი თავდახრილნი მოთმინებით იცდიდნენ. ვინც პირუტყვის გამოცნობა იცის, იმისთვის ცხადი იყო განსხვავება ამ ხარებს შორის. იმათ დიდრონ, შეთვალეებიდან სულ სხვა-და-სხვა ხასიათი გამოჰკრთოდა. ხარების ჩაქინდრულ თავებში გამოხატული მოთმინებაც განსხვავებული თვისების იყო. მარჯვნივ მდგარ ხარის, ვარსკვლავას მოთმინებაში უდრტვინველი მორჩილება გამოიხატებოდა. ლანძღვა-ვინებას, ცემას, წვეტიანი ჯოხით ჩხვლეტას, — ყველა ამას, როგორც აუცილებელ ხვედრს, იგი წყნარად ითმენდა; მაგრამ, რადგან პატრონს ვარსკვლავა უყვარდა, სასტიკად არ ექცეოდა: მხოლოდ ხვნისა და ტყეში ტვირთის ზიდვის დროს შეეხურებდა ხოლმე. ლომიასთან კი სხვანაირად უნდა დაეჭირათ საქმე. იმის თვალეებში ურჩობის ნაპერწყალი იყო ანთებული. ზოგჯერ ისეთი სწრაფი და მქისე განზე შემოხედვა იცოდა, რომ ახლოს მყოფ ადამიანს სიფრთხილე ჰმართებდა. როცა წვეტიანი ჯოხით სჩხვლეტდნენ, ყოველთვის გაჯავრებით ფრუტუნებდა და მოკლე და წვერ-მახვილ რქებს მრისხანედ აქნევდა. გარდა ამისა ისეთი მარჯვე წიხლები იცოდა, რომ არა ერთ აბეზარ ქოთაკს ჰკუთავსა. პატრონი მას მაინცა-და-მაინც არ ენდობოდა, მაგრამ დიდად აფასებდა, რადგან ლომია — ჰკვიანი, მუშაობაში გაწვრთნილი და დაუღალავი ხარი იყო. იგი უფრო გონიერი და უფრო ბეჯითი იყო, ვიდრე მისი ამხანაგი.

დიდი წითელი ხარები ძალიან შეეთვისნენ ერთმანეთს, რაიცა სჩვევიათ პირუტყვებს, რომელნიც დიდხანს მუშაობენ ერთ უღელში: ისინი ეჩვევიან ერთმანეთს და მარტოობა ძალიან აწუხებთ.

ლომიას კი კიდევ სხვა რამ ემჩნეოდა. აღმართის მხეცთა მიმართ მრისხანე ხარი თავის მშვიდობიან ამხანაგს მეგობრული სიყვარულით ექცეოდა და ზოგჯერ მთელი საათის განმავლობაში კისერს ულოკავდა; ვარსკვლავა კი ამ დროს ცოხნას განაგრძობდა და მეგობრის ქცევას აღერსით შეიფერებდა ხოლმე.

უდაბურ ტყის შუაგულ განმარტოებულ მინდორზე თანდათან ვახშირდა ბინდი. ფერმკრთალ ცაზე მონაფარდე ძერა აღარ სჩანდა; მისი მქაზე ხმა კი ხან-და-ხან მკაფიოდ ისმოდა ჰაერში. თხემლნარში შაშვი დადუმდა. ფიჭვის ტყის სიღრმიდან ბუეს მქისე ხმა ისმოდა. ხარების პატრონი კი არ მოდიოდა თავის საქონლის წყალზე გასარეკად. სახლიდან ორი ვერსის მანძილზე იგი მკვდარი იღო მიწაზე ჩხრიალა ნაკადულის პირად. გაუფრთხილებლობის გამო, მისგან მოკრილ ხის ქვეშ მოექცა. პატრონის გვამს ერთგული ძალღი მწუხარედ დაჰღმუოდა.

გრძილი წყლის სუნი აღეზიანებდა წყურვილით დატანჯულ ხარებს. ბოლოს ერთმა ხარმა მოთმინება დაჰკარგა. ლომია ყოველგვარ დაბრკოლებას საზოგადოდ არაფრად აგდებდა. მოუთმენლად ეძგერა იგი რქებით ბაკის კარებს; ამხანაგი კი ამ დროს წყნარად და გაკვირვებით უცქერდა. კარები შავარი, იყო და ლომია მიხვდა, რომ აქ ვერაფერს გააწყობდა. უფრო ადვილად გასარღვევ ადგილს ეძებდა და ლომებს გაჰყვა.

ჩვეულებრივი ბაკი იყო, უბრალო ლარტყებისაგან გაკეთებული, კუთხეებზე მიწაში ჩაფლულ გადაჯვარადინებულ ძელებით დამაგრებული. საერთოდ მაგრად ნაშენი არ იყო ეს ბაკი, და ერთ ალაგას გარღვეული და ნაჩქარევად გასწორებუ-



ლი იყო. ლომია რქებს აქეთ-იქით აქნევდა და ერთ ზედა ლარტყას რქა მოსდო. ლარტყა ადვილად აიწია, მაგრამ იმ წამსვე თავის ალაგას — გადაჯვარადინებულ ბოძებს შუა, დაეცა და დაცემის დროს ლომიას ცხვირი ატკინა.

ისედაც გაღიზიანებული, ფიცხი ხარი ერთბაშად აინთო და მძლავრად ეძგერა ბაკის კედელს თავისი მაგარი შუბლით. ერთი ნახევრად დამპალი ხარიხა ერთბაშად გატყდა, ორი ზედა ლატანი კი ხმაურობით ძირს ჩამოცვივდა. ხარმა განაგრძო შეტევა და მთელი თავისი სხეულის სიმძიმით ეკვეთა სხვა ლარტყებს, ადვილად დაბლა ჩამოყარა და, გამარჯვებული, ხმაურობით გარედ გამოვარდა. მისი ამხანაგი, ასეთ თავხედობას თავის ღღეში ვერ გაბედავდა, ჯერ გაუბედავად უცქერდა, შემდეგ კი დამტვრეულ ლარტყებს გადააბიჯა და გარედ გავიდა. ხარებმა გრილ წყალში მშვიდობიანად ცხვირი ჩაჰყვეს, წყურვილი მოიკლეს, შემდეგ თავი მალლა ასწიეს და ზედმეტი წყალი ნესტოებით ამოუშვეს.

ვარსკვლავს პირველი აზრი ჩვეულებისამებრ ბაკში დაბრუნება იყო; ლომია კი გარეკას იყო შეჩვეული და ძალას ყოველთვის წინააღმდეგობას უწევდა. მის გულში გაჩნდა რაღაც ახალი, უცნაური გრძნობა თავისუფლებისა. ჩვეულებრივ იგი ამ დროს ქობის ფანჯარაში სინათლეს ჰხედავდა. ახლა კი ეს სინათლე არ სჩანდა. ირგვლივ თითქო ყველაფერი დაცარიელდა. ლომიას არც კი უფიქრია თავის საპყრობილეში დაბრუნება, რომელსაც ეს-ეს არის თავი დააღწია. იგი მალლა თავ-აწეული იდგა, თითქო მძიმე უღელი არც კი ახსოვდა.

ერთ-ორ წუთს იდგა იგი და გრილ, მკვეთრ-სურნელოვან ჰაერს ნესტოებით ღრმად ისუნთქავდა. იგივე ჰაერი იყო, რომელსაც ლომია ბაკში სუნთქავდა; ახლა კი სულ სხვანაირად ეჩვენებოდა. შიგ იყო რაღაც, რაც მძლავრად



იზიდავდა ხარს გარსშემორტყმულ ბნელ, თავისუფალ ტყეში ალერსიანი ღმუილით მოაბრუნა ლომიამ დიდი თავი ვარსკვლავსკენ, რომელიც ბაკთან იდგა და წყნარად, შემკითხავი თვალებით უცქერდა. შემდეგ ლომია სწრაფი ნაბიჯით ტყისკენ გაუდგა.

როცა მეორე ხარმა წყურვილი მოიკლა, ისევ თავის ჩვეულ, მყუდრო ბაკში დაბრუნება მოუნდა, მაგრამ, რასაკვირველია, — თავის ამხანაგთან ერთად. ამხანაგის უფრო ძლიერმა წადილმა გაიმარჯვა. როგორღაც უხალისოდ, ვარსკვლავა მობრუნდა და ლომიას გაჰყვა. ლომია უცდიდა, და გვერდი-გვერდ, თითქო ერთ უღელში შებმულნი, ხარები მოსცილდნენ ოღრო-ჩოღრო გზას და ხავს-მოფენილ, მიტოვებულ გზით ბნელ ტყისაკენ გაუდგნენ.

ლომიას უტყუარ ალღოს მიჰყავდა ისინი შორს ამ ქობიდან, უდაბური ტყის შუაგულში. დაახლოვებით ერთი საათის შემდეგ ისინი გავიდნენ ტყიდან პატარა კორღზე, სადაც ნაკადული წყნარად მოჩუბჩუბებდა. აქ ცოტა ხანს ყვავილოვანი ბალახი სძოვეს. ბნელ ჰაერში ღამურები დანავარდობდნენ და ორი ბუ ერთნაირად ეზმაურებოდა ერთმანეთს კორღის კიდებიდან. ხარები გვერდი-გვერდ დაწვნენ და იცოხნებოდნენ. გარეშემო კი ეფინებოდა სუნი მინდვრის ხახვისა, რომელიც ხარებმა თავისი ვეება სხეულით გაჰყლიტეს.

ისინი კორღის კუთხეში იწვნენ, ტყის კიდზე, ბუჩქნარის ახლოს. ხარები სიფრთხილეს არ იყვენ ჩვეულნი; არც თვალთ, არც ყური ფრთხილად არ ჰქონდათ. უკანიდან იმათ მიეპარა ფოცხვერი, შეანათა ბოროტი თვალები და ხეზე ავარდა, რომ უწვევი სტუმრები უფრო კარგად დაეთვალეირებია. მისმა ბრკყალებმა გაიხმაურეს ხის ქერქზე, მაგრამ ხარებმა ამ ხმაურობას სრულებით ყური არ ათხოვეს. რასაკვირველია ფოცხვერს შეეძლო მათი ცნობისმოყვარეო-



ბა გამოეწვია, მაგრამ იმის ალაგას ორი მშვიერი ვეფხვიც რომ ყოფილიყო, ხარები იმათაც ვერ შეამჩნევდნენ და არავითარ სიფრთხილეს არ გამოიჩინდნენ. ისინი იწვნენ ტყისაკენ ზურგ-მიქცეულნი, ზანტად იცოხნებოდნენ და დრო-გამოშვებით სიამოვნებით სუნთქავდნენ. მათ სიახლოვეს კვერნა კურდღელზე ნადირობდა; დაიქირა და დააღრჩო კურდღელი. როცა მსხვერპლის ყვირილი მოესმა, ლომიამ თვალები გაახილა და უკმაყოფილოდ დაიფრუტუნა. ვარსკვლავამ კი ყურადღება არ მიაქცია ამ ტრაგედიახ: ცოხნასა და სიამოვნებაში სავსებით იყო დანთქმული.

კოტა მოგვიანებით გამოვიდა სანადიროდ მელა და ერთ-ბაშად ხარებს წააწყდა. ძალიან გაუკვირდა, რომ ასე დაშორდნენ თავის ბაქს, სადაც ისინი არა ერთხელ უნახავს მოგზაურობის დროს. გონება-მახვილმა მელიამ მაშინათვე იფიქრა, რომ უთუოდ მათი პატრონიც აქ სადმე ახლოს იქნებო. ხარებთან სამტრო არაფერი ჰქონია, —მის თვალში ისინი სულელი, უვნებელი პირუტყვები იყვნენ, —მათ პატრონსა და მის თოფს კი ძალიან უფრთხილდებოდა. მელა ისევ დაიმალა ტყეში, მთელ ტყეს ფარულად შემოუარა, ხარების კვალს მიაგნო და დარწმუნდა, რომ ისინი მარტო მოსულიყვნენ. მაშინ ის დაბრუნდა, კული ქვეშ შემოიღო, ხარების პირდაპირ წყნარად დაჯდა, თავი გვერდზე დახარა და თითქო ეკითხებოდა — როგორ მოხვედით ამ ადგილსაო.

ვარსკვლავა მშვიდობიანად უცქერდა, ლომიას კი გული მოუვიდა. მელა ცხვირ-წვეტა, კულ-ბუსუსა მყრალი პატარა ძალლი ეგონა. იმას ყველა ძაღლები ეჯავრებოდა, განსაკუთრებით კი პატარები, რომლებიც ისე მარჯვედ უსხლტებოდნენ და ყეფით ფეხში ჰკბენდნენ. ლომია მრისხანე ფრუტუნით წამოდგა და დაუპატივებელ სტუმარს ეტაკა. მელა ძალიან მარჯვედ ხან მარჯენივ, ხან მარცხნივ უსხლტებოდა, სანამ ხარს მისი დევნა არ მოსწყინდა. ვარდა ამისა, მელას

ხმაც არ ამოუღია და მისთვის ერთხელაც ფეხზე არ უკბენია. ლომია მალე დაცხრა და თავის ამხანაგის გვერდით დაწვდა. მელამ ცნობისმოყვარეობა დაიკმაყოფილა და წავიდა.

შემდეგ ხარების ზურგს უკან რაღაც ქაბანი მოისმა, თითქო ბუჩქებში ვიღაც ჩუმად მოიპარებოდა. ხარებს თავიც არ მიუბრუნებიათ იქითკენ. ამ საშიშარ ხმაურობას მათ თვალში არაფერი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ქაბანი ერთბაშად შესწყდა. ნაკადულისკენ დათვი მიბაჯბაჯებდა რბილი მიწის სათხრელად და შიგ ტყბილი მცენარეების საძებრად. იმან გაიგონა, როგორ სუნთქავდნენ და იცოხნიდნენ ხარები. მისთვის ნაცნობი ხმა იყო, რადგან ისიც, მელასავით, დახეტიალობდა ღამ-ღამე ბაკის გარშემო. უჩუმრად, ჩრდილივით მიეპარა დათვი და კმაყოფილი ხარები დაინახა. იმან იცოდა, რომ ეს ცხოველები ადამიანის საკუთრებაა და როგორღაც არაფრად ექაშნიკა, როცა ისინი აქ, ადამიანის სადგომს მოშორებულნი დაინახა. მან ფრთხილად შეისრუტა პაერი: უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ პირუტყვებთან კაცი არ იყო. მალე ცხადი შეიქნა მისთვის, რომ ადამიანი იქ არ არის. დათვს ფიქრადაც არ მოსვლია თავს დასხმოდა ხარებს: საშიშარი სანახავი იყვნენ და შებმას ვერ გაუბედავდა. მაგრამ რისთვის მოსულიყვნენ ისინი? შეიძლება ახლოს რამე ფარული საფრთხე იყო? აქსადმე მახე ხომ არა აქვს დაგებული ადამიანს? დათვი ფრთხილად დაიშალა ტყეში და წავიდა იმ გზით, რომლითაც აქმოვიდა. ადამიანისა და ყველაფრის წინაშე, რასაც ადამიანთან კავშირი ჰქონდა, იგი შიშსა ჰგრძნობდა.

ოდნავ გამოკრთა თუ არა ნაცრისფერი იღუმალი განთიადი და ბალახს ნისლის რკალი შემოეხვია, ხარები წამოადგნენ და ძოვნა იწყეს. ვარსკვლავას თავისი ძველი მყუდრო ბინა მოენატრა და გაუბედავად გაუდგა შინისკენ. ლომიას კი შინ დაბრუნება სრულებით არ უნდოდა. იგი ნაკადულისკენ

გაემართა, ხმაურობით გადაიარა და გაღმა დაუწყო მღვინე
 ამხანაგმა ვერ გაუძლო მარტოობას და შემოუერთდა.

მთელი დღე ისინი ერთად წინ-წინ მიდიოდნენ დაბურულ ტყეში; ლომია სულ წინ მიისწრაფოდა, თითქო რაღაც გამოუცნობს ეძებდა; ამხანაგი კი მორჩილებით, უცილოდ მისდევდა. უეჭველია, ვარსკვლავს უფრო გაბედული წინააღმდეგობა და სიმტკიცე რომ გამოეჩინა, რომ დაწოლილიყო და წინსვლაზე უარი ეთქვა, გაიმარჯვებდა, რადგან ლომია მას თავის დღეში მარტო არ დასტოვებდა. მაგრამ, ეს ყოველთვის ასეა, გაბედულმა თაოსნობამ მკონარეობა დასძლია და ლომიას ძლიერმა გულისწადილმა გაიმარჯვა.

არემარე, სადაც ასე ყოჩაღად წინ მიდიოდა ლომია, ბუნება-მქისე იყო, მაგრამ კარგ მასპინძლად კი დაუბედა ჩვენ მგზავრებს. უზარმაზარ ტყეში ხშირად ხედებოდნენ ლამაზი კორდები, აქაფებული მდინარეები, კლდოვან-ნაპირებიანი განმარტოებული ტბები და მოცვის ბუჩქებით მოფენილი, ამწვანებული, მზის შუქით სავსე მინდვრები. საკვები და წყალი აქ ბლომად იყო. ვარსკვლავსაც ავიწყდებოდა თავისი ბაკი და თავისუფლებით სიამოვნებდა, რომელზედაც წინად არც კი ოცნებობდა.

მოგზაურობის შესამე დღეს ხარები ისეთ დიდ, ღრმა მდინარესთან მივიდნენ, რომ ლომიამაც შიგ გასვლა ვერ გააპებდა. კლდოვან ნაპირებში შიგა-და-შიგ ყურეებად შექრილიყო წყალი; ალაგ-ალაგ მოჩანდა მწვანე კორდები; ლერწმით შემორტყმულ თხემლნარიდან მოჩუბჩუბებდნენ ნაკადულები. ლომიამ შეუხვია აღმოსავლეთისკენ, ხან მდინარის პირ-პირ, ხან მოშორებით მიდიოდა, სადაც უფრო ადვილ ბილიკს ან კარგ საძოვარს დაინახავდა. სულ ისეთ ადგილს ეძებდა, სადაც მდინარეზე გასვლა შეიძლებოდა; ამ დაბრკოლების დაძლევა ენა-



ტრებოდა. წყალმა დასავლეთისკენ გზა მოუქრო, უფრო დაკინებით სწაღდა დასავლეთისკენ გზის გაკვლევა.

სალამო ხანს, როცა ერთ ალაგას გაარღვიეს ბუჩქნარი და ბალახოვან კორღზე გავიდნენ, ერთაშად წააწყდნენ დათვის ბელს, რომელიც თამაშობდა: ფრთხილად ისროდა ჰაერში და აგორებდა დიდ ყვითელ სოკოს, სკდილობდა არ დაემტვრია სათამაშო, როგორც კატა ბურთს დასთამაშობს ხოლმე. ცელქი დათვის ბელი ლომიას, რასაკვირველია, ისევ ძალლი ეგონა, რომელიც უთუოდ უკანიდან ფეხებში ეძგერებოდა. ლომიამ მრისხანედ დაიფრუტუნა და პირდაპირ ეტაკა.

დათვის ბელმა გაიგონა საშიშარი ხმა და გჭკვირვებით გამოიხედა. დაინახა თუ არა მისკენ გამოქანებული ხარდამ. ცემი, ვეება, წითელი მხეცი, საზარლად დაიკივლა და ხის საფარს მიმართა. მაგრამ ის ახალგაზდა იყო და სიმარდე და სიმკვირცხლე აკლდა: ძალივით ხერხიანი გასხლტომა არ იცოდა. ლომიამ დაჰკრა უკანიდან თავისი მაგარი შუბლი და მიწაზე დასცა. გაისმა გულსაკლავი წივილი და დათვის ბელი გათავდა.

გაკვირვებულმა, რომ გამარჯვება, პირველად თავის სი-
ცოცხლეში, ასე ადვილად ზედა, საშინლად თავმომწონე წი-
თელმა ხარმა უკან დაიხია, ერთ წუთს თვალი მოავლო თავის მსხვერპლს და ზეიმის ნიშნად გვერდებზე კუდი შემო-
ირტყა.

ერთბაშად მან თვალი მოჰკრა ვეება მხეცს, რომელიც მისკენ გამოექანა. უზარმაზარი ძუ დათვი გამოჩნდა თავისი შვილის დასაცველად.

ლომია საოცარი სიმარდით მობრუნდა მტრის დასახვე-
დრად. დროზე გაუსხლტა დათვის თათს, რომელიც კი-
სერს მოსტებდა, მაგრამ დათვის გძელმა, ფოლადივით მა-

გარმა ბრწყალებმა ნახევარ თავზე ტყავი ჩამოაგრიეს და ცალი თვალი მოსთხარა. ხარმა საზარლად დაიღრზა, ეფერა დათვს, ღრმად ჩაასო გულში თავისი მოკლე, მახვილი რქა და მიწაზე დასცა.

თუმცა ლომია საშინლად დაჭრილი იყო, მარჯვედ მოქნეულმა რქამ წუთიერი უპირატესობა აკუთვნა. მაგრამ ბრძო-



ლაში გამოუცდელმა ხარმა თავისი მდგომარეობით ვერ ისარგებლა: იგი უკან დაიხია, რომ ახალ დაძვერებისათვის მომზადებულიყო: გაჩერდა, ფეხი დააბრაგუნა, დაიღმულია და საშინლად დამახინჯებული თავი გააქნია.



დათემა თავის ღრმა ქრილობას ყურადღება არ მიაქცია, შემოტრიალდა და წკმუტუნით თავისი ბელინსკისკენ დასუნა. ერთბაშად შეატყო, რომ ის მკედარი იყო, ელვის უსწრაფეს გამობრუნდა და მკვლელს ისევ ეძგერა. იმ მხრიდან ეკვეთა, საიდანაც ხარი ვერაფერს ხედავდა. ლომიამ ისევ გაბრაზებით შემოუტია. ახლა ადვილი იყო მისგან გასხლტომა, რადგან იგი ნახევრად ბრმა იყო; ბებერი დათეი კი მარჯვე მებრძოლი გამოდგა. ვეება მხეცი დაეცა ხარს კისერზე ყურებს უკან და ლომიას თვალ წინ ნათელი მწვანე ქვეყანა ერთბაშად დაბნელდა. ხარი მძიმედ დაეცა მუხლებზე, პირი მიწაში ჩასცა და დაიბღავლა. დათემა ერთი კიდევ დაჰკრა თათი, მეორე თათით კი კისერი გაუბო და ხმა-ამოუღებლივ, გაბრაზებით გლეჯა დაუწყა.

ამ დროს ვარსკვლავა, რომელსაც გონების სიმახვილე აკლდა, შემკრთალი შეჰყურებდა ამ ბრძოლას, ვერ გაიგო, რაში იყო საქმე, თუმცა რაღაც უცნაურმა ცეცხლმა კი დაუარა ძარღვებში. ხოლო, როცა დაინახა, როგორ დაეცა მიწაზე მისი ამხანაგი, როცა გაიგონა მისი საზარელი, გულსაკლავი ბღავილი, ხარის ტვინს არა ჩვეულებრივი ცეცხლი მოედო. იგი გაბრაზდა და საოცარი სიმარდით, ლომიაზე ბევრად უსწრაფეს ბრძოლაში ჩაერია.

დათეისთვის ეს უცებები თავდასხმა იყო: თითქო თავზე კლდე ჩამოენგრა, გვერდზე დაეცა, გადააბრუნა და ქვეშ დაიტანა. დათეის მთრთოლვარე თათები შეერთდნენ ვარსკვლავას თავსა და მხრებს გარშემო, მაგრამ იმ წამსვე დაშორდნენ ერთმანეთს და დუნედ დაბლა ჩამოეშვნენ.



ორი დღე და ორი ღამე იდგა ხარი ამხანაგის გვერდით, და მხოლოდ ორიოდ წუთით სტოვებდა თავის ადგილს, რომ იქვე ახლოს ბალახი მოეძოვა ან მდინარის ცივი წყალი დაეღლია, რომელიც იმ კორდის კიდზე იყო, სადაც ეს უბედურება მოხდა.

მესამე დღეს ორმა ტყისმცველმა ნავით ჩამოუარა ამ ადგილს და გაუკვირდათ, როცა ამ უდაბურ ალაგას, ალა-მიანის ბინაზე ასე მოშორებით, ხარის ღმუილი გაიგონეს. ღმუილი დაინებით განშეორდა. მგზავრებმა ნავი მდინარის პირად მიაყენეს, ვადმოვიდნენ და ხარისკენ გაემართნენ.

როცა პატარა, მზის შუქით განათებულ კორდზე გავიდნენ, თვალწინ მოულოდნელი და საოცარი სურათი გადაეშალათ. ისინი უდაბური ტყის საიდუმლოში ჩახედულნი იყვნენ და მალე მიხედნენ, რა ამბავი დატრიალდა ამ ალაგას.

— კარგად უბრძოლიათ, — ბოლოს-და-ბოლოს გადასწყვიტა მოხუცმა ტყისმცველმა.

ტყისმცველებმა სიამოვნებით თვალი მოავლეს ვეება წითელ ხარს და იფიქრეს, რომ ასეთი ძვირფასი პირუტყვის აქ დატოვება ცოდვაა: გადასწყვიტეს, რომ ერთ მათგანს ხარი გაერეკა, მეორეს კი ნავით ნელ-ნელა გზა გაწვდო.

პირველად ხარი ვერას გზით ვერ შესძრეს და ვერ მოშორეს თავის მკვდარ ამხანაგს. ტყისმცველი ზამთრობით მენახირეობას ეწეოდა და თავისი ხელობა კარგად ესმოდა. იმან გძელი თეთრი სახრე მოსჭრა, ხარის გვერდით დადგა, სახრე მარჯვედ გადააწნა და „ჰო, ჰო, ნათელია“ შესძახა.

როცა ხარმა კარგად ნაცნობი ბრძანება გაიგონა, თუმცა „ნათელა“ მისი სახელი არ ყოფილა, თავის კრებულზე თითქმის თქო ჩვეული მძიმე უღელლი იგრძნო. ხარმა მორჩილებით განზე ფეხი გაადგა, თავი დაჰხარა, მთელი სხეული წინ წასწია, თითქო რალაც ტვირთი უნდა დაეძრა ადგილიდან, და გაუდგა, საითკენაც ახალი პატრონი უბრძანებდა.

ილ. ნაკაშიძე



საქმელი მერცხლის ბუდეები



სიამის^{*)} დასავლეთ ნაპირას, ზმელეთსა და ორ დიდ კუნძულ—კობ პუნგუმისა და კობ სამინის შუა, ბანდონის ყურეში—გადაშლილია თვალწარმტაცი არხიპელაგი^{**}). ეს არხიპელაგი, დაახლოვებით, ხუთასი პატარ-პატარა კუნძულისაგან შესდგება, რომლებიც მდიდრული ტროპიკული მცენარეებით არიან აბიზინებულნი.

აი, ეს არხიპელაგია იმ ზღვის მეცხლების სამშობლო, რომელთა ბუდეებს გემრიელ საქმელად სთვლიან ჩინელები.

ფიქალის კლდეებიდან ამ ბუდეების მოკრეფის უფლება მინიჭებული აქვს შაიის პროვინციის გუბერნატორს (იოაკუნს). იმას ამ ბუდეების მოკრეფა და გაყიდვა იჯარითა აქვს აღებული და დიდ გადასახადსაც იხდის: წელიწადში ოც-

*) ქვეყანა სამხრეთ აზიაში.

***) კუნძულების გროვა.

და თოთხმეტ ათას მანეთს იხდის საიჯაროს. მაგრამ მერცხლების ბუდეების გაყიდვა ათჯერ მეტ შემოსავალს აძლევს იოკუნს. ამიტომ შიის პროგინციის იოკუნი ერთ-ერთი უმდიდრესი და ყველაზე უფრო გავლენიანი პირია მთელ სიამში.

იმისი ძლიერება შემდეგისგან სჩანს. როცა მალაიელ ზღვის ქურდებს მოასწრებენ მერცხლის ბუდეების პარვაში, იგი იქერს მათ და ხოცავს.

კუნძულებს დიდი სიფრთხილით იცავენ. არცერთ ევროპიელს ნება არა აქვს მიუახლოვდეს მათ.

მხოლოდ ერთ ინგლისელ ექიმს, სახელად ბრადოკს, დართეს ნება დაეთვალიერებია ისინი, რადგანაც ამ ექიმმა სამსახური გაუწია სიამის მმართველობას. როცა ბუდეების მოკრეფის დრო დადგა, იგი სხვებთან ერთად გაემგზავრა ხსენებულ კუნძულებზე.

ბუდეების მოკრეფა მხოლოდ სამ კვირას გრძელდება, როცა მერცხლები ბუდის აგებას შეუდგებიან ხოლმე. ბუდეების მოკრეფა ძლიერ საშიშია, რადგანაც მერცხლები კლდის ნაპრალებში აკეთებენ იმათ.

მოკრეფავი მალაიელები მოიბამენ გრძელ თოკს და ხანდა-ხან რამდენიმე ათეული საცენის სიმალლეზე გადაკიდებიან ხოლმე ჰაერში კლდის წვერებიდან. იქ ისინი დანით აცლიან ბუდეებს კლდეებს და სიფრთხილით სდებენ პარკში, რომ არ გაუტყდეთ, თორემ უფრო მძარე ფასებში გაიყიდება. შემდეგ ანიშნებენ კლდის წვერზე მდგარ თავის ამხანაგებს, და ისინიც სხვაგან გადუნაცვლებენ, ან აიყვანებენ ზევით. ხში-



რად ამ დროს უბედური შემთხვევა ხდება: მკრეფებს წყდებათ ხოლმე თოკი და მიწაზე ასკდებიან.

პირველი დაკრეფილი ბუდეები უფრო ძვირად ფასობს. რძის ფერისანი არიან და, ეელატინის*) მზგავსად, მწებავ, ძარღვიან ნივთიერებას წარმოადგენენ. ადგილობრივად ეს ბუდეები გირვანქა 14—28 მანეთამდე ღირს. ძლიერ მსუბუქი არიან და ერთი გირვანქა 120—140 ცალს აიწონის ხოლმე.

მეორედ დაკრეფის შემდეგ მერცხლებს აღარ აწუხებენ. ისინი მესამედ შეუდგებიან ბუდის კეთებას. მაგრამ ახლა უთუოდ ხალისი ეკარგებათ და სულ სხვა-და-სხვა მასალისაგან აკეთებენ: ზღვის მცენარეებისაგან, ბალახებისაგან, ხის ტოტებისაგან, გვიმბრისაგან და სხვ. ამ მასალას ისევ იმ ეელატინის გვარი წებოთი აწებებენ. მესამედ ბუდის კეთებას მამლეები შეუდგებიან, მაგრამ ძლიერ აღელვებული არიან და ერთმანეთს ჩხუბს უმართავენ ხოლმე.

როცა ბუდის კეთებას მორჩებიან, დედალი მერცხალი სდებს შიგ სამიდან ექვს კვერცხამდე. ხანი, რომელსაც ისინი კვერცხების გამოჩეკას და ბარტყების დაზრდას ანდომებენ, საღვთო ხანად ითვლება. ამ დროს ყველას აღკრძალული აქვს ამ ჩიტების შეწუხება-შევიწროება და ძალიან სიფრთხილითაც სდარაჯობენ მათ. სასტიკად სჯიან, ვინც მერცხლის მოკვლას, ან მისი ბუდის ჩამოშლას გაბედავს.

*) ეელატინი—მწებავი ნივთიერება მზადდება დიდხანს ნახარშტოველთა ხორკისაგან, ძვლებისგან, კუნთებისაგან და სხვა. გამზმარი ეელატინი წარმოადგენს სიფრიფანე, გამჭვირვალე ფურცელს. ხმარობენ საქმელად, განსაკუთრებით თევზისას, და საწებავ მახალადაც.



ხშირად ბუდის კეთების დროს მერცხლები ისე მუშაობენ, რომ ნებიან წებოთი, რომ ჰაერში ფრენას ვეღარ შესძლებენ და ძირს ცვივიან. ვინც ამ დროს მათ პოულობს, აიყვანს სიფრთხილით, მოაშორებს წებოს და გაუშვებს.

თუ რა მასალისაგან აკეთებენ ეს მერცხლები საკმეღ ბუდეებს, ეს ჯერ გამოკვლეული არ არის.

ინგლისელი ექიმის თაოსნობით შესდგა კომისია, რომელსაც უნდა გამოერკვია ეს კითხვა. თვით ამ ექიმის მონაწილეობით კომისია გაემართა კუნძულებისკენ, მაგრამ ვერავითარ შედეგს ვერ მიაღწია.

ჩინელები ამტკიცებენ, რომ მერცხლები ზღვის მცენარეებში პოულობენ ამ მასალას. ადვილი შესაძლებელია ეს ასეც იყოს. სიამელების სიტყვით, მერცხლები ზღვის ქაფს ყლაპავენ და შემდეგ კლდეებზე ანთხევენ მას, და ის უცბად მაგრდება.

ევროპელები ფიქრობენ, რომ მერცხლები თავიანთ კუჭში ამზადებენ ამ მასალას და შემდეგ პირიდან უშვებენ ბუდეების ასაშენებლად.

ამ ბუდეებისაგან ჩინელები აკეთებენ ერთგვარ ხარშოს, რომელსაც „მერცხლის ბუდეების ხარშოს“ ეძახიან. სხვანაირად ამ ბუდეების მონელება ადამიანის კუჭს არ შეუძლია. როგორც ამბობენ, ამ ხარშოს გემო ევლათინის გემოს მოგვაგონებს, როცა მის რამდენსამე ნაჭერს მღულარე წყალში ჩაყრიან და დაამარილებენ.

თუ როგორ უნდა მომზადდეს საკმეღად ეს ბუდეები, ჩინელი გასტრონომები შემდეგ დარიგებას იძლევიან: მოხარშეთ ნახევარი უნცი*) მერცხლის ბუდე, წააყარეთ მარილი,

*) 3 1/2 მისხალი.



დაურთეთ ბილილი და მირთმევის წინ ყოველ თვე მშენებელ კვერცი ჩაურით.

ამგვარად შემზადებულ მერცხლის ბუდეს „მანდარინთა ხარშო“ ეწოდება და ერთ-ერთ აუცილებელ კერძად ითვლება ნადიმზე.


სიამში მკურნავ თვისებებს აწერენ ამ ბუდეებს. ექიმები ავადმყოფებს წამლად გამოუწერენ ხოლმე ამ ბუდეების ხარშოს.

კარ. შაბუაშვილა.

მეცხე ეობიუს

ბილილი და მირთმევის წინ ყოველ თვე მშენებელ კვერცი ჩაურით.

ამგვარად შემზადებულ მერცხლის ბუდეს „მანდარინთა ხარშო“ ეწოდება და ერთ-ერთ აუცილებელ კერძად ითვლება ნადიმზე.



სიამში მკურნავ თვისებებს აწერენ ამ ბუდეებს. ექიმები ავადმყოფებს წამლად გამოუწერენ ხოლმე ამ ბუდეების ხარშოს.



ჩვენი სამშობლოს წყლები

მდინარე ტანა

ადიდებულა ტანაო,
თან მღვრიემ მოატანაო;
მთლად წამოიღო ზეობა
და მტკვარში ჩაიტანაო!
სულხან დუქანი.



ხალციხე-მორჯომიდან მოყოლებული მტკვრის მარჯვენა მხარეს მოსდევენ ქედები, ზოგან ძალიან მაღალნი, რომელთაც ჰქვია „თრიალეთი“. ეს ქედები ბევრ ადგილას მშვენიერი ტყით არის შემოსილი,

რაც ხდის ამ მთებს მშვენიერ საცხოვრებელ ადგილად. აი, ამ მთებში ბევრ საქართველოს მდინარეს აქვს სათავე და სხვათა შორის მდინარე ტანასაც.

თრიალეთის იმ ნაწილში, რომელსაც „საციციანო მთა“ ჰქვია, სხვა მწვერვალთა შორის ცნობილია ჯამჯამაც.

მშვენიერია ეს მწვერვალი, ლამაზი და მიუკარებელი. შემოსწყრომია ბარს, მაღლა-მაღლა წასულა, თავი ცისთვის მიუბჯენია, ღრუბლებს დანათესავებია და კლდოვან ჯილაგვირგვინით შემკულს თვალი გაუსწორებია შორს-შორს კავკასიონის ქედის სპეტაკ თოვლით მოსილ მწვერვალთათვის.



გაამაყებულ ჯამჯამას აღარ სურს თვალი მიავლო-მოაგონოს ის ქვე-
 მის ფეხით გაშლილ მშვენიერ სანახაობას: მთის მდინარეთა
 ტალღების მზის სხივებთან თამაშს და კობტა წერწეტა ნაძვე-
 ბის საიდუმლო ტოტების ქნევას.

სიმაღლე ამ მწვერვალისა თითქმის სამ ვერსს უდრის.

ადრე მოდის ჯამჯამაზე თოვლი და გვიანაც იცის მან
 გაღნობა; ხანდისხან ერთ ზამთარს მოსული თოვლი მეორე
 ზამთარამდის აღწევს და მთელი ზაფხულის განმავლობაში მზის
 ცხოველმყოფელი სხივოსნობა უძლეურია მასთან ბრძოლაში.

ამ მწვერვალის ფერდობები შემოსილია ალპიური მცე-
 ნარეებით; აქა-იქ მოსჩანან მწყემსების საზაფხულო ბინები და
 მათ შორი-ახლო ცხვრის ფარა თვის მწყემსებით, რომელნიც
 ნაბადში გახვეულნი და ჩობახებით ხელში ერთგულ დარაჯე-
 ბად უდგანან ცხვარს, რომ ნადირმა არაფერი ავნოს.

ჯამჯამის ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩამოსდევს ხევი, რომ-
 ლის ორივე ფერდობები შემოსილია ნაძვის ტყით.
 ხშირია ეს ტყე და ლამაზი, ჩრდილოვანი და წმინდა ჰაერია-
 ნი, მაყვალით მრავალი და ბალახით უხვი. ამ ხევის ძირზე
 მოფენილან ჯამჯამის კლდის-ჯიდას ნატეხები. აი, ამ ხევში
 ორი ათას ხუთას ფუტის სიმაღლეზე გამოწანწყარებს წყარო;
 წყარო გრილი, წყალ-გემრიელი, მორაკრაკე-მოჩუხჩუხე და
 ისეთი პატარა, რომ მწყურვალე კაცი თითქმის დააშრობს
 ერთი გემრიელი დაწაფებით. ეს წყარო არის სათავე მდინა-
 რე ტანისა.

მორბის ეს პატარა წყარო ხევის ძირში, მოიკლავნება
 თითქმის უჩინარი კლდის ნატეხთა შორის და ახლად ენა-
 ამოდგმულ ბავშვივით ეღურტულებს.

იქვე ხევის შუაგულში რამდენიმე სხვა წყაროც უერთ-
 დება ტანის სათავეს და ხევის ძირში ქვებს შუა კი არ
 მიიკლავნება, ქვებზე გადახტის-გადახრიალებს.



მალე ტანას ემატება მარჯვენა მხრით ღვივის ხევის წყალი და მარცხნივ—საცხენისის მთით გამომდინარე წყალი. ამათ გარდა ტანას ერთვის მარჯვნივ ორი ხევის წყალი, რომელთაგანაც პირველი გამოსდის სახარე კლდეს და ერთვის ტანას სოფ. ორმოცთან, ხოლო მეორე იღებს სათავეს რაზმეთის მთის ჩრდილოეთ მხრით და ერთვის ტანას სოფ. ბისის ზევით. პატარა ხევის წყალნი ხომ უთვალავნი არიან; უეჭველად ყოველივე ხრამიდან პატარა წყალი ჩამორბის და მიეჩქარება ტანისკენ. სოფ. ატენის ბოლოს ტანას ერთვის ორი მოზრდილი ტოტი; ერთი მარჯვნივ, მეორე მარცხნივ; ორივეს ერთი და იგივე სახელი აქვთ — „ათრევა“. მარცხენა „ათრევა“ იწყება საცხენისის მთიდან და მომდინარეობს ღვარების ხეობაზე, მარჯვენა „ათრევა“ გამოსდის რაზმითს და ჩამორბის ღვედრეთის მოზრდილ და ტყით მდიდარ ხეობაზე.

მდინარე ტანა მომდინარეობს ხან აღმოსავლეთისკენ ხან ჩრდილოეთისკენ; ბევრ ადგილას სცდილობს გაარღვიოს კლდის ზღუდე და გაინაგარდოს სამხრეთისკენ, მაგრამ ამაოდ: მისი ტალღები ფრიად სუსტნი არიან მის კიდევებზე აყუდებულ ბუმბერაზ კლდეებთან შედარებით. ბევრი წვალების შემდეგ პირი ჩრდილოეთისკენ უქნია და მთაში ტყვეობით შეწუხებული ბარისაკენ სიხარულით გაქანებულა; ის კი ვერ უცვნია, რომ წინ უფრო მძაფრი მტერი დახედებოდა—მტკვარი, რომელიც მას ნთქავს. ტანა ერთვის მდ. მტკვარს მარჯვენა მხრით, ქალაქ გორის ქვევით, კვერნაკის მთის სამხრეთ ფერდობის ძირში, სწორედ იმ ადგილას, სადაც ძველად მტკვრის ხიდი იყო, რომლის მაგარი, დახვესებული ბურჯები ახლაც ამაყად გადაჰყურებენ მტკვრის მოდულუნე, მღვრიე ტალღებს.

ტანას არ მოუსურვებია უბრძოლველად დამორჩილება მტკვრისთვის, შებშია მას, უხვად მიუყრია მთიდან ჩამოტანილი ქვა, არ დაუზოგავს თავი, თითქმის შეუღრეკია კიდევც



მსკოვანი მტკვარი, ჩრდილოეთისკენ შეუზნეველად მიგრირებდა ბოლოს მაინც დამარცხებულა და დამორჩილებია მწარე ხვედრს.

მდინარე ტანა მთელი თვისი ბასეინით მდებარეობს ქართლში, გარის მაზრაში.

ტანის ხეობაზე მოიპოვება სამკურნალო წყლებიც. სოფ. ბობნევის თავში ჩამორბის პატარა ხევის წყალი, რომელშიაც ურევია რკინა; ხოლო ატენთან, მეთვრამეტე საუკუნის გეოგრაფის ვახუშტის სიტყვით, „დის თბილი წყალი, მკურნალი ბუგრისა“.

მდინარე ტანა კარგი სანახავია მთებში, მეტადრე ბობნევისა და ატენს შუა. მნახველს ეს მდინარე მოაგონებს გალიაში გამოძწყდელ ნადირს, რომელიც ჯერ ვერ შესჩვევია მძიმე ტყვეობას და კვლავ თავისუფლებისკენ მიისწრაფვის; იგი აწყდება აქეთ-იქით კედლებს, ბრაზობს, პირზე ქაფი მოსდის, ფხაქნის თათებით იქაურობას, ხმაურობს განუწყვეტლივ, ჰკივის, და ამ კვილის ბანს აძლევს მთა და კლდესურს გაგლიჯოს ზღუდე, გაანგრძოს, განთავისუფლდეს და ერთი უზრუნველად და უდარდელად გაინავარდოს. მაგრამ უძლეველია ზღუდე და მით უფრო ხმოვანია კიენი აზვირთებულ მდინარესი.

ქირვეულია და თავის-ნათქვამი მდ. ტანა: დაინახავს კლდეს აყუდებულს, ამაყს, რომელსაც თავს ნორჩი ნაძვის ტყე უშვებებს. შეშურდება მისი სილამაზე—მომზიბვლელობა და მოისურვებს მის ჩამონგრევა-ჩამომტვრევას; ეკვეთება მთელი თვისი ძლიერებით, აწყდება მძლავრად, უთხრის ძირს, უღრღნის ძარღვებს, აყრის აუარებელ ლოდს და ქვას, და იმ დრომდე არ მოეშვება, ვიდრე ძირს არ დასცემს, ვიდრე არ გაანადგურებს; ჩამოანგრევს, ჩაიხუტებს გულში მის ნატეხებს და სასიხარულო კიენით მიარბენინებს.



ტანის ხეობა უხვად არის დაჯილდოვებული კიდეცაა ზის მხრივ. იგი ჩვენი სამშობლოს ერთი ლამაზი მხარეა. ბევრ ალაგას მთის ფერდობები შემოსილნი არიან მშვენიერი ტყით, რომელთა წიაღშიაც მიჩანჩქარობენ გულის გამაგრილებელი ცივი წყაროები; ხოლო ზოგ ალაგას ტყე სრულიად გაკაფულია ერთ გერმანელ მწარმოებლის მიერ, რომელსაც, რა მიუგვნია ამისთანა სიმდიდრისთვის, აღარ დაუზოგავს იგი და გაუზბრებია, მოუტიტვლებია ფერდობები და გადუქცევია მწირად და უნაყოფოდ. ამ მწარმოებლისთვის ტყის განადგურებაში დახმარება აღმოუჩენია ცეცხლსაც, რომელიც ჩნდებოდა ამ მწარმოებლის მუშების დაუდევრობით. ეს არის მიზეზი, რომ რაც ტყე გაიჩება თავ-ხეობაში, მდ. ტანას ცუდი ზნე დასჩემდა: ყოველი წვიმის შემდეგ იგი მოვარდება ხოლმე, მოედება ნაპირებს და არაფერს არ ინდობს. ამის გამო მცხოვრებნი ძალიან ემდურებიან ტანას. ამ რამდენიმე წლის წინად ტანაზე გაკეთებულ იქმნა საერობო თანხით მშვენიერი ხიდი სოფ. ხიდისთავთან. სამი წლის შემდეგ აზღვავდა ტანა, მთაში დიდი წვიმების გამო, მოვარდა და ძალიან ცუდი დღე დააყენა ზემო მოხსენებულ ხიდს:

შუა ლამისას ეწვია,
გათენებამდის თხარაო,
ნახევრობამდის მოპვლიჯა,
ქვაშავში ჩაიტანაო!

ბევრი ვენახის ცოდო აძევს ტანას, და უფრო ბევრ სახანავ-სათესისა. აი ერთი ხალხური ლექსი, გაგონილი სოფელ ხიდის-თავში გლეხის ალ. ტლაშაძისაგან მდ. ტანის ოინების შესახებ:

საწყალო ატენელებო,
ვერ დაიძველებთ ბინასა:



მოვარდება თქვენი ტანა,
 სულ ძალლივითა ღრინავსა,
 სულ მთლად გაზიდაეს კვერნაკზე
 თქვენ კოვზებსა და პინასა.
 მიდელაშვილი აბრამა
 კამეჩივითა ვმინავსა;
 გადმოუქცია მარანი,
 ვადაატარა ყირასა.

თავის სიცოცხლეში დიდი ზიანი უქნია ტანას: ზოგის-
 თვის სახლი დაუნგრევია, ზოგისთვის მარანი, ბევრ საბძლის-
 თვის მოუთხრია ძირი და უფრო ბევრი სიმიწლით სავსე ძარი
 მოუტაცნია და პატრონი მწიგნობარად აუქვითინებია; თვის ბუ-
 ლულებს და ხე-ტყეს ვილა ჩივის. ტანას ოინების შესახებ
 ატენის ხეობაზე მცხოვრებლებისაგან ბევრ ლექსს გაიგონებთ.
 აი ერთი იმ ლექსთაგანი:

აღიდებულა ტანაო,
 თან მღვრიემ მოატანაო;
 სულ წამოიღო ხეობა,
 არ დააყენა ყანაო.

ატენსა შემოუთვალა:
 აბა გამაგრდი ჩქარაო;
 მიგლიჯ-მოგლიჯა ხიდები,
 ლატნები წყალში ყარაო.

კილლაძე საკოს მარანსა
 მით მოუვიდა ძალოა;
 ხუთ-ხუთი ქვევრი მოგლიჯა,
 სულ წყალში გადაჰყარაო.

მოვარდნა ტანამ გაზაფხულობით და შემოდგომობით ხში-
 რად იცის; სხვა დროს კი პატარად მოჩუხჩუხებს. მას ამ დროს



არავითარი ვნების და ზიანის მოტანა არ შეუძლია ფრიად დიდი სარგებლობისა. სარგებლობით კი ქართველოს მდინარეებს არ ჩამოუვარდება. მდ. ტანის წყალით ირწყვება მთელი ეს ხეობა, აგრეთვე ვეებერთელა მინდორი, მტკვრის მარჯვენა მხარეს მდებარე, ქალაქ გორის რკინის გზის სადგურიდან მოყოლებული, თითქმის გრაკლის სადგურამდე. ტანის ხევის ბევრ სოფლებში არ არის წყარო, და მცხოვრებნი, თავის საქონლით, ამ მდინარის წყალით იკლავენ წყურვილს. ტანის წყალს მოჰყავს მოძრობაში სოფ. ატენის ხე-ტყის სამხერხაოს რკინის ბორბლები და მრავალი წისქვილის ქვები.

პირველი წისქვილი თავ-ხეობაშია გამართული, სადაც ტანა პატარა რუს ტოლა მოჩუხჩუხებს; ეს წისქვილი პატარაა და მოგაგონებთ საყარაულოს, სადაც მხოლოდ ზეზე დგომა შეიძლება; შიგ ორი კაცი ძლივს მოთავსდება; ტრიალებს და რახრახებს ქვა სწორედ იმოდენა, რამოდენაც ბარში ხელის ქვა იციან, მარილის საფრქველად. ინძრევა ნელ-ნელა ხეიშირა, კანკალებს შეშინებულღვით და ცვივა ქვაში ორი და სამი მარცვალი. დღეში ამ წისქვილზე შეიძლება დაიფქვას სამი ან ოთხი ჩანახი ხორბალი; პატრონი საფქვევისა დააყრის ხორბალს და გასწევს საითაც სურს სამუშაოდ; შემდეგ იღროვებს, მოვა, ამოჰკრებს ფქვილს და წავა სახლში. მთაში თუმცა პატარა ქვის ამოძრავება უძნელდება, მაგრამ შესართავთან ახლო ტანის მხოლოდ ერთი ტოტი ამუშავებს ოთხ და ხუთ-თვალთან წისქვილს.

მდინარე ტანას ზოგ ალაგას განივრად და ფართოდ აქვს გაქიმული კალაპოტი, ზოგ ალაგას კი ძალიან ვიწროდ; განიერ ადგილას იგი აუჩქარებლივ მიმდინარეობს; ვიწროებაში იგი მძაფრია და გმირი: ვერ ეტევა კალაპოტში და ჰყეფს, აქაფებს წყალს, ტალღას ტალღაზე ესვრის კლდეებს და მოჩქრიალობს.



ქართული
ლიტერატურის
საქართველოს
საქართველოს
საქართველოს

თევზი მრავალი ბუდობს მდინარე ტანაში. ტოტია და ყოველივე თევზი, რაც კი პირველში მოიპოვება, ტანაშიაც ხშირად ხვდება. ყველაზე ხშირია: ციმორი, მურწა, ნაფოტა. მთაში ბევრი იცის კალმახი. ხალხი ამ ხეობისა ხშირად იჭერს ტანის გემრიელ თევზსა საქმელად; გასასყიდად არას ღროს არ გააქვთ. თევზს იჭერენ ტოტების დაწყვეტით; ხანდახან შეიყრება ათიოდე ყმაწვილი და სულმთლად დასწყვეტენ ხოლმე ტანას, სხვა მხარეს გადუგდებენ წყალს და სიხარულით იჭერენ თითქმის მშრალზე დარჩენილ თევზებსა.

მდინარე ტანა სიგრძით 50 ვერსამდის იქნება.

ამ მდინარეზე ორი ხიდი არის. ერთი—ამიერ-კავკასიის რკინის გზის ხიდი, და მეორე—საერობო თანხით აშენებული, რომელიც, როგორც ზევით მქონდა მოხსენებული, მდ. ტანამ ნახევრამდის მოიტაცა. ხიდების საკიროება კი ფრიად დიდია. სოფ. ატენი გაშენებულია მდ. ტანის ორსავე ნაპირზე. როდესაც ტანა დიდდება, იტაცებს უბნების შემოერთებულ ხიდებს და უბნებ შორის მიმოსვლა და მეზობლობა შეუძლებელი ხდება. ამ ღროს სოფლის ბავშვებიც სკდებიან სწავლას, რადგანაც უხილოთ ძნელია გასვლა იმ უბანში, სადაც სასწავლებელი არის მოთავსებული.

მდ. ტანის ორსავე ნაპირზე ბევრი სოფელია გაშენებული. პირველი სოფელი, რომელიც მდებარეობს თავხეობაში, თათრებისაა. გადმოსახლებული არიან ბორჩალოს მახრიდან. ამ თათრების სოფელს ქვემოდ გაშენებულნი არიან ოსების პატარ-პატარა სოფლები. თითო სოფელში სცხოვრობს სამი, ან ხუთი კომლი. მათ ჰქვიათ ერთი სახელი—„ტუსრები“. შემდეგ არიან უკვე მოზრდილი სოფლები: ზემო და ქვემო ბოშური, ბისი და ორმოცი; ქვემოდ—სოფ. ბობნევი. ყველაზე შესანიშნავი სოფლებია ატენი და ხიდისთავი.



სოფ. ატენი არის აშენებული მეფის ფარსმანისაგან. წელს ქრისტეს დაბადებამდის. აქ უყვარდა ცხოვრება მეფე დავითს, რომელიც სცხოვრობდა მეთექვსმეტე საუკუნეში. ატენი რამდენჯერმე ააოხრეს ლეკებმა და სპარსელებმა. 1821 წელს ხელახლად მოშენდა. ახლა იგი მოზრდილი სოფელია. იქ არსებობს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების პირველდაწყებითი სასწავლებელი, რომელიც მოთავსებულია ერისთვისაგან შეწირულ მშვენიერ შენობაში. სოფ. ატენში ცხრა საყდრის ნანგრევია; არის ძველი ციხეც, რომელიც ჯერ კიდევ ამაყად გადაჰყურებს არემარეს, თითქოს სოფლის ერთგული დარაჯი იყვეს.

ატენში მოთავსებულია ხე-ტყის საქრელი ქარხანა გერმანელ მწარმოებელისა. ამ მწარმოებელს, ვიდრე ტანის ხეობაზე გახურებული მუშაობა იყო, გაყვანილი ჰქონდა სოფ. ატენიდან ზევით ვიწრო რკინის გზა, თითქმის 40 ვერსის სიგრძეზე, რომლის საშუალებითაც უზარმაზარ ხეებს ეზიდებოდნენ ქარხანაში. შემდეგ, რადგანაც ხე-ტყე გამოილია, მუშაობა მინელდა, გზას აღარ აქცევდნენ ყურადღებას და მდინ. ტანამ მოინარიკლა ეს გზა. როდესაც მოდიდდებოდა, ამ გზას ან ჰგლეჯდა, ან ზევიდან ღორღს და ვეებერთელა კლდეებს აყრიდა. „რელცები“ ტანამ ისე დაკაკვა, როგორც წინდის ჩხირებია, — ამბობენ იქაურები. ახლა რკინის გზა კიდევ არის სოფ. ატენსა და გორის რკინის გზის სადგურის შუა.

სოფ. ატენი და ხიდისთავი მცხოვრებთა რიცხვით აღემატებიან ამ ხეობის ყველა სოფლებს და ცნობილნი არიან მთელ ქართლში, როგორც საუკეთესო თვისების ღვინის და ატმის სამშობლონი. დიახ, მდინარე ტანის წყლით ირწყვე-



ზიან ის ვენახ-ბაღები, რომელთაც ასე გემრიელი ხაჭაპურები და ჩინებული ღვინო იცის. შემოდგომით, როცა იქაურებს ხელში ღვინით სავსე ქიქა უჭირავთ, სრულებით ავიწყდებათ მღ. ტანის მიერ მიყენებული უსიამოვნობა თუ ზიანი და მის მადლიერნი ამბობენ: „ვენაცვალეთ ტანას ის ვაზი, რომელმაც ეს ღვინო მომცა, მის მადლიანი წყლით არის შორწყულიო“. ატენელების და ხიდისთაველების შემოსავლის უმთავრეს წყაროს შეადგენს ღვინო და ხილი.

ტანის ხეობას ძველად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსთვის; მასზე მიდიოდა გზა ქართლიდან ჯავახეთში და ქართველები დიდ ყურადღებას აქცევდნენ მას, რასაც მოწმობენ მრავალი ციხე და კოშკები, მღ. ტანის ორსავე ნაპირზე მდგომნი გზის საყარაულოდ და მტრისგან დასაცავად. მომეტებული რიცხვი ამ ისტორიულ შენობათა დანგრეულია, თითქმის მიწასთან გასწორებული, მაგრამ თვით ნანგრევებიც მკაფიოდ ღალადებენ თავის წარსულ სიდიადეს.

მდინარე ტანის ხევი მოხსენებული აქვს მე-18 საუკუნის გეოგრაფს ვახტანგ მე-VI შვილს ბატონიშვილ ვახუშტს. იგი ამ ხეობას აგვიწერს შემდეგი სიტყვებით:

„ტანა გამოდის ჯამჯამას და საცხენისის მთას; დრის ხევამდე იგი სდის აღმოსავლეთით, მერე სდის ჩრდილოთ, ერთვის მტკვარს სამხრიდან. მტკვრის სამხრით დასავლეთიდან ერთვის ატენის წყალს წედისის ხევი. ატენის სამხრით არს მონასტერი სიონი, გუმბათიანი, კეთილ-ნაშენი და აწ სმენ გადამდგარს ეპისკოპს, ახტალის მაგიერ. ზევით მიერთვის ტანას ხევი დრისა, გამომდინარე რაზმითის მთისა, და არს მთა კალთათა ტყიანი, თხემთა უტყეო. აქ არის საფლავი ჯაფარი-

სა, რომლის სიგრძე ხუთი ადლი. სცხოვრობდა ეამხა რას-
ტომ მეფისასა (1658 წელს). ბობნევეს ზეთ ერთვის ტა-
ნას ლუის ხევი, გამომდინარე საცხენისის მთისა; და ბობნე-
ვამდე ხეობა ესე არს ვენახოვანი, ხილიანი; მას ზეთ მთუ-
რი, ვიწრო, მაგარი, ტყიანი და ცხელი; მდინარესა შინა ატე-
ნისასა (ტანაში) ზის კალმახნი გემოიანნი, მრავალნი.“

ყველაზე შესანიშნავი ისტორიული ნაშთი არის სიონის ტაძარი. იგი სდგას სოფლებ ბობნევისა და ბობნევის შუა, პირ-
ველზე უფრო ახლო, კლდოვან ნიადაგზე, მდინარე ტანის
პირას, რომელსაც მედიდურად დაჰყურებს ზევიდან. სიონი
დიდი შენობაა. აგებულია თლილის ქვისაგან და თვის მოხა-
ზულობით წააგავს ჯვარს. მის აშენების წელიწადი დანამდვი-
ლებით არ არის ცნობილი, მხოლოდ ის კი ვიცით, რომ მისი
აშენება ეკუთვნის მე—8—9 საუკუნეს. სიონის ხავსით შემო-
სილ კედლებზე, როგორც შიგნით—ისე გარედ, არის მრავალი
მნიშვნელოვანი წარწერა, ჩუქურთმა და მხატვრობა. სიონის
კედელზე სხვათა შორის გამოსახულნი არიან სახეები ბაგრატ
მეფისა და მის მეუღლისა. ამ ტაძრის მახლობლად ყოფილან
სხვა-და-სხვა შენობები, რასაც მოწმობენ ნანგრევები. აქ მდი-
ნარე ტანიდან წყალი ყოფილა მილით გაყვანილი.

ამ ხეობაზედგეა ციხე, სახელად „ვერის ციხე“. იგი
აშენებულია მალალ ციკაბო კლდეზე და კაცს არწივის ბუ-
დეს მოაგონებს. სდგას იგი შეუპოვრად და ზვიადად; თუმც
ბევრი დაჰკლებია საუკუნეთა განმავლობაში სიმტკიცის მხრივ,
მაგრამ ახლაც მიუვალ-მიუჟარებელია და ბევრი ვერ გაჰბე-
დავს იქ ასვლას: საშიშია და სახიფათო. ამ ციხიდან მშვენიერ-
ად სჩანს მთელი ქართლის ველი, ლიხის მთიდან მოყოლე-
ბული თითქმის მცხეთის მიდგამამდე, და მტკვრიდან დაწყე-

ბული — კავკასიონის ქედის ძირამდე; თვით კავკასიონის მთებზე-
ბიც საუცხოოდ სჩანან.

აგრეთვე არ შემიძლია არ მოვიხსენიო ერთი შენობა, რომელიც ტანის პირას სდგას. მატარებლით მიმავალი ამიერ რკინის გზით უეჭველად შენიშნავს მას; იგი რკინის გზის ხიდის ზევით, ტანის მარცხენა მხარეზეა. დანგრეულია ეს შენობა, უპატრონო. იყო კი დრო, როდესაც აქ სიცოცხლე სდულდა. ამ შენობაში დაიბადა 1811 წელს ჩვენი ცნობილი მწერალი და სათეატრო მოღვაწე გიორგი ერისთავი, ანუ როგორც ევროპელებმა უწოდა — „ქართველი მოლიერი“.

ა. ხუცაშვილი.



მე-7 №-ში გასართობში, შარადაში, დაბეჭდილია: თათრის საყდარს რაც ორი აქვს, — უნდა იყოს: თათრის საყდარს რაც არა აქვს.



შარაღა

(წარმოდგენილი დ. ელიოზიშვილი მიერ)

ორი ასოსგან შევსდგები,
 პაწაწა ვარ და ნაზიო;
 დიდმა, პატარამ, სუყველომ,
 იციან ჩემი ფასიო.
 ახალ გაზაფხულს ვამშვენებ
 ჩემი ლამაზი ფერთა;
 და სურნელებას რომ მოეფენ,
 სუყველას ვავსებ ლხენითა.
 ანბანის მეორე ასოს,
 თუ წინ დამისევამთ შენაო,
 ბილად ვიქცევი, მის გემოს
 ჰკითხვეით, გეტყვით ენაო.



რეზუსი

(წარმოდგენილი დ. ელიოზიშვილის მიერ)

კ



მ

პეპელა
 აიღეთ
 პირველი
 მარცვლი



გ



ჩემი მშობლე-
 ბის ქადაშვილი
 ჩემი რა არის?

პ

კაპა-
 სი
 ანუ?

ლ

ციხეში
 ვინ ზის?



კ

იქა დევს—ის.
 აქა დევს—ის.

მე-11-ში მოთავსებულ შარადებებისა და რეზუსის ახსნა.

1) ხარალი, 2) ვენახი, 3) კრულ იყოს მისი ხსენება, განკარგულად დაჰგომოს დედა ენასა.



„ნაკადული“-ს რედაქციაში



და

წიგნების საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი წიგნები

- 1) ტომის თავგადასავალი, — თბ. მარკ ტვენისა, თარგმ. გრ. ყიფშიძისა, ფასი 50 კ.
- 2) რას გვიამბობს ოთახი, — თბ. ავენარიუსისა, თარგმ. გ. ჯაფარიძისა, ფასი 20 კ.
- 3) საყმაწვილო მოთხრობები, — ნინო ნაკაშიძის ფასი 10 კ.
- 4) სკრუჯი და მარლეი, — საშობაო მოთხრობა, ჩარლზ დიკენსისა, თარგმანი ნინო ნაკაშიძისა, ფასი 25 კ.
- 5) დასურათებული საყმაწვილო მოთხრობები პ. ჯ. ანდერსენისა, ერ. სეტ. ტომპსონისა, გ. ინსაინისა და რ. კიბლინგისა, ფასი 30 კ.
- 6) ბავშვობა და სიყრმე, — მოთხრობა ლევ. ტოლსტოისა, თარგმ. ნინო ნაკაშიძისა, ფასი 60 კ.
- 7) ორი მხატვარი, — თარგმანი დ. ავალიანისა, ფასი 15 კ.
- 8) სამშობლო ბუნების სარკე, დასურათებული საყმაწვილო მოთხრობები, — ივანე ელიაშვილისა, ფასი 30 კ.
- 9) შობა, მოთხრობა გურიის ცხოვრებიდან, — ნინო ნაკაშიძისა, ფასი 5 კ.
- 10) ახალგაზრდა მეფის სიზმარი და დევი — ეგოისტი, ორი მოთხრობა ოსკარ უაილდისა, თარგმ. ივ. მაკავარიანისა, ფასი 5 კ.
- 11) დათო, — ირ. ევლოშვილისა, დიდების მამიებელი, თარგმ ალ. შანშიაშვილისა, ფასი 5 კ.
- 12) მოთხრობები, — ლაგერლედისა და სხვა უცხო მწერლებისა 5 კ.
- 13) იგავ-არაკნი, — 125 დასურათებული, პატარა მოთხრობა, ავტორის სურათით, ალ. მირიანაშვილისა, ფასი 75 კ.
- 14) ბიძია თომას ქოხი, — რომანი ბიჩერ-სტოუსი ზანგთა განთავისუფლების დროისა, სურათებითა და ბიოგრაფიით, თარგმანი მ. კლიშიაშვილისა, 1 მ. 25 კ.

1916 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ **„ნაკადული“**

„ნაკადული“—№

წელიწადი მეთორმეტე

ჟურნალი „ნაკადული“ გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

შურნალი გამოდის თვეში ორჯერ

24 წიგნი „ნაკადულისა“ **12 წიგნი** „ნაკადულისა“
მცირე წლოვანთათვის. მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის პირველ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—**5 მან.** იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი **6 მან.** ნახევარ წლით—**3 მან.** გაგზავნით 3 მან. 50 კაპ. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის **24 წიგნი—3 მან.** გაგზავნით 3 50 კაპ. მოზრდილთათვის **12 წიგნი—3 მან.** გაგზავნით 3 მან. 50 კაპ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ვისთხოვთ ხელის მომწერლებს თუ ჟურნალი „ნაკადული“ არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და ადრესის გამოცვლა დროზე შეგვატყობინონ. ადრესის გამოსაცვლელად—**40 კ.** შეიძლება მარკებით გამოიგზავნოს.

ხელის მოწერა მიიღება

ტფილისში— „ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი გოლოვინის პროსპ. № 8. Редакция „Навадули“, Головинский пр. № 8. შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან, № 2. და წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქ. **ქუთაისში**—ისიდორე კვიციანიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან. **ფოთში**—ლუდმილე მეგრელიშვილთან. **ბათუმში**—ტროფიმ ინსარაძესთან ფოსტაში, ტ. სამსონ ყაზიშვილთან უპრაფაში. **ოზურგეთში** ტ. ლანჩხუთში—ლეო იმნაძესთან. **თელავში**—ვანო პაატაშვილთან. **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან. **ბაქოში**—მარიამ ნაკაშიძესთან. **გორში**—ქეთევან ჯავახიშვილთან და ნინო ლომოურთან. **ჭიათურაში**—ივ. გომელაურთან. **ხონში**—მ. ი. ჭავჭავაძესთან. **მიხაილოვოში**—გეორგი ნაკაშიძესთან. **ყვირილაში**—ნინო ფერაძესთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე**
გამომცემელი **მ. პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.**